საჭიროა წინ სვლა, საჭიროა წინ ვიხედებოდეთ, საჭიროა ყრილობაზე მოვიტანოთ სამეურნეო მშენებლობის კარგად მოფიქრებული და ყურადღებით, პარტიის ყველა წევრის საერთო შრომით, საერთო ძალ-ღონით გადამუშავებული პრაქტიკული გამოცდილება.

ვ. ი. ლენინი.

ღირსეული შეხვედრა— კომუნისტთა დიდ ფორუმს!

XXIII

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 46-ე წელი. № 64 (13458) | შ ა ბ ა თ ი, 19 მ ა რ ტ ი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახვედრად

დღეს „პრავდაში" ქვეყნდება ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ. მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რწმუნებანი მთავრდება, და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ჩვენი კონსტიტუციის შესაბამისად დანიშნა არჩევნები 1966 წლის 12 ივნისს.

სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მომავალი არჩევა დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. მისი მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება იმასთან დაკავშირებით, რომ არჩევნები გაიმართება მალე სკკპ XXIII ყრილობის შემდეგ, რომელიც განსაზღვრავს კომუნისტური მშენებლობის მორიგი ეტაპის ამოცანებს.

ჩვენი პარტია ხელმძღვანელობს მარქსისტულ-ლენინური დებულებით იმის შესახებ, რომ ხალხი ისტორიის შემოქმედია; კომუნიზმის აშენება ხალხის, მისი ენერგიის, მისი გონების საქმეა. ხელმძღვანელობს რა ახალი საზოგადოების მშენებლობას, პარტია ავითარებს ხალხის მძლავრ შემოქმედებითს ძალებს, რაზმავს და წარმართავს მათ ერთიანი მიზნისაკენ. ვ. ი. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, პარტიამ მასები მოიზიდა სახელმწიფოს დემოკრატიულ მართვაში მუდმივი და აუცილებელი, ამასთან გადამწყვეტი მონაწილეობისათვის. ახალი დიდი ამოცანები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის წინაშე ისახება, მოითხოვს სოციალისტური სახელმწიფოებრიობის ლენინური პრინციპების შემდგომ განვითარებას; საბჭოების — ნამდვილი სახალხო ხელისუფლების ორგანოების როლის ამაღლებას, ჩვენი დემოკრატიის სრულყოფას. სწორედ ამას შეუწყობს ხელს საარჩევნო კამპანია.

სსრ კავშირის მეექვსე მოწვევის უმაღლესმა საბჭომ, რომელიც ასრულებდა ხალხის ნებას და გამოხატავდა მის ძირეულ ინტერესებს, დიდი და ნაყოფიერი მუშაობა გასწია. მან განიხილა სახელმწიფოებრივი, ეკონომიური და კულტურული მშენებლობის, საერთაშორისო მდგომარეობისა და საგარეო პოლიტიკის დიდი საკითხები, მიიღო მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი საკანონმდებლო აქტები. მისი საქმიანობის ღრმა დემოკრატიულმა ხასიათმა თავი იჩინა იმით, რომ ეს აქტები ემსახურება კომუნიზმის საქმეს, ჩვენი სამშობლოს ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებას, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას, მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და სოციალიზმის ინტერესებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის (1964 წელი) და შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებებმა, რომლებმაც დაამკვიდრეს და განავითარეს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ხელმძღვანელობის ლენინური მეთოდები, გააფართოვეს მშრომელთა მონაწილეობა წარმოების მართვაში, ახალი გასაქანი მისცეს მასების ინიციატივასა და შემოქმედებითს ენერგიას. ამ ცვლილებათა შედეგები მკაფიოდ ჩანს უკვე დღეს მილიონთა წინასაყრილობო შეჯიბრების წარმატებებში, ცოცხალ, მზრუნველ დაინტერესებაში, რომლითაც მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია განიხილავენ ხუთწლედის დირექტივების პროექტს, აღწევენ წარმოების ეფექტიანობის გადიდებას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მომავალი მზადება, უეჭველია, ხელს შეუწყობს მასების პოლიტიკური აქტივობისა და საზოგადოებრივი თვითმოქმედების ზრდას. საარჩევნო კამპანია საყოველთაო-სახალხო საქმეა, იგი მოითხოვს პარტიული ორგანიზაციების, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების უაღრესად გულმოდგინე ყურადღებას. მთავარი პარტიული საზრუნავია უზრუნველვყოთ არჩევნებისათვის მზადების მსვლელობაში საბჭოთა ადამიანების კომუნისტური შეგნებისა და საზოგადოებრივი ინიციატივის შემდგომი ამაღლება, დავრაზმოთ ხალხის ძალები სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა, ახალი ხუთწლედის ამოცანათა განსახორციელებლად. ამ მიზანს უნდა დავუქვემდებაროთ მთელი ორგანიზატორული და საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა, მივაღწიოთ იმას, რომ თვითეულ მშრომელს შეგნებული ჰქონდეს თავისი ადგილი საერთო-სახალხო მწყობრში.

ფრიად საჭიროა, რომ არჩევნებისათვის მზადების მსვლელობაში ყველგან გავაუმჯობესოთ საბჭოების საქმიანობა, ჩავაბათ მასში მშრომელთა ფართო მასები. საბჭოებს, ხაზგასმულია სკკპ XXIII ყრილობის დირექტივების პროექტში, პასუხსაგები როლი ეკუთვნით ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში. მათ დიდი უფლებანი და რწმუნებანი აქვთ, ისინი მოწოდებული არიან აქტიურად მონაწილეობდნენ სამეურნეო ცხოვრებაში, თვალყურს ადევნებდნენ შრომითი რესურსებისა და ბუნებრივი სიმდიდრეების სწორად გამოყენებას, აღკვეთონ უწყებრიობის გამოვლინებანი. ბევრი რამ უნდა გააკეთონ საბჭოებმა ვაჭრობისა და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოებისათვის, მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარებისათვის, გზების მშენებლობისათვის, ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობისათვის. წინასაარჩევნო კრებებზე, შეხვედრებზე და საუბრებში მშრომელები გამოთქვამენ კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებს, თუ როგორ გაუმჯობესდეს საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუშაობა. ეს შენიშვნები და რეკომენდაციები მზრუნველობით უნდა გავითვალისწინოთ, ხოლო ყველა ძვირფასი წინადადება — განვახორციელოთ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს ჩვენი ხალხი ეგებება პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებული. ყველა საბჭოთა ადამიანს მშობლიური პარტია მიაჩნია ჩვენი დიდი კომუნისტური მშენებლობის ნაცად და ბრძენ ხელმძღვანელად, პარტიის პოლიტიკა, მის მიერ შემუშავებული გეგმები მიაჩნია თავის მახლობელ, სისხლხორცეულ საქმედ. და ეს გასაგებია: პარტია ყველაზე მაღლა აყენებს ხალხის კეთილდღეობასა და ბედნიერებას, უფრთხილდება მის ნდობას, ხალხისადმი სამსახური მიაჩნია თავის მთავარ მიზნად. პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობა მკაფიოდ გამოხატულია იმ უდიდესი შემოქმედებითი აღმავლობით, რომლითაც მილიონობით კომუნისტი და უპარტიო, ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი ემზადება ღირსეულად შეხვდეს სკკპ XXIII ყრილობას.

საარჩევნო კამპანია, რომელიც ახლა იწყება, უეჭველია ჩაივლის მასების პოლიტიკური და შრომითი აქტივობის შემდგომი განვითარების ნიშნით, კვლავ ცხადყოფს პარტიისა და ხალხის მონოლითურ ერთიანობას, აღინიშნება ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის ახალი წარმატებებით.

ПРАВДА

18 მარტის მოწინავე

სკკპ XXIII ყრილობის დელეგატი

მეურნეობის ორგანიზატორი

სოხუმისაკენ მიმავალი მგზავრი ხობის რაიონულ ცენტრს რომ გაივლის, მარჯვნივ ურთის მთის ლამაზ კალთებზე გაშენებულ ლიმონის, მანდარინის, ფორთოხლის, ზეთისხილის, დაფნის პლანტაციებს დაინახავს. ახავერდებულ მთებს შუა მოჩანან ორსართულიანი საცხოვრებელი სახლები, მაღაზიები, სასადილო, კლუბი, ადმინისტრაციული სახლი, სკოლები და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ლამაზი შენობები. ეს ხეთის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობაა. იგი შუქურასავით დგას და შავ ზღვას გადაჰყურებს.

თორმეტი წლის წინათ ეს მიდამო ტყითა და ეკალბარდით იყო დაფარული.

1954 წელს ჩამოყალიბდა ხეთის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა, რომელსაც 476 ჰექტარი ფართობი გადაეცა. საუკუნეების მანძილზე ჩირგვებითა და ეკალ-ბარდებით დაფარულ ურთის მთის სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ ფერდობებს შეუტიეს ჩვენი დროის სახელოვანმა ადამიანებმა და დაიწყეს ციტრუსების გაშენება. ათვისებულ იქნა 354 ჰექტარზე მეტი ფართობი, რომელიც ამჟამად დაფარულია ციტრუსების პლანტაციით. აქ კარგად იხარა ლიმონმა, მანდარინმა, ფორთოხალმა, ზეთისხილმა, დაფნამ, კაკალმა, ხეხილმა.

ურთის მთის კალთები თავისი ექსპოზიციით (სამხრეთ-დასავლეთის დაქანება) ქმნის ხელსაყრელ პირობებს სუბტროპიკული კულტურების ზრდა-განვითარებისათვის. ციტრუსების გაშენება 1954 წლიდან დაიწყო და 1957 წელს დამთავრდა. პირველი მოსავალი სახელმწიფოს 1960 წელს ჩაბარდა. შემდგომ წლებში მოსავლიანობა დიდდებოდა, ჯერ კიდევ ახალგაზრდა მანდარინის ნარგავმა 1963 წელს 84 ტონა ნაყოფი მისცა სახელმწიფოს, ლიმონმა — 970 ათასი ცალი, ხოლო ფორთოხალმა — 16 ტონა. იზრდებოდა მეურნეობის შემოსავალი.

გაწეული ხარჯები პირველი ორი წლის მოსავალმა დაფარა და მოგებაც დაუტოვა მეურნეობის კოლექტივს. მაგრამ 1963-1964 წლების მკაცრმა ზამთარმა არასრულმოსავლიანი პლანტაციები ძირმედ დააზიანა; ამის გამო 1965 წელს მიიღეს პირველი მოსავალი.

ციტრუსები რომ დიდად მომგებიანია, მოვიყვანთ ერთ მაგალითს: 1963 წელს მეურნეობის მოგება დაფნისა და ციტრუსების მოსავლით შეადგენდა 420 ათას მანეთს. მიუხედავად 1963-1964 წლების ზამთარში ციტრუსების დაზიანებისა, 1964 წელს მეურნეობის მოგება 324 ათას მანეთს შეადგენდა.

1957 წელს, სრულიად ახალ მეურნეობას სათავეში ჩაუდგა სოფლის მეურნეობის ნიჭიერი ორგანიზატორი, აგრონომი ვარლამ ხორავა. მან მთელი ენერგიით მოჰკიდა ხელი საქმეს. ციტრუსების პლანტაციების გაშენების პარალელურად შეეცადა ბუნებრივი დაფნის გამოყვანას, ახალი პლანტაციების გაშენებას. ამჟამად ამ კეთილშობილ მცენარეს აქ 154 ჰექტარი ფართობი უჭირავს.

სასიამოვნოა ვ. ხორავასთან საუბარი. იგი დინჯად, საქმის დიდი სიყვარულით, ცხოვრების ღრმა ცოდნით გვიხსნის ყველაფერს. გვაცნობს ადამიანებს, რომლებმაც შექმნეს ეს სილამაზე, ეს სიმდიდრე.

1956 წელს მეურნეობა დაგეგმილი იყო 22 ათასი მანეთის მოგებით, მაგრამ მარტო 10 ათასი მანეთი მიიღეს. 1957 წლიდან კი მოგება ყოველ წელს იზრდება. 1957 წელს 21 ათასი მანეთი მოგების ნაცვლად მიიღეს 21.9 ათასი მანეთი, 1960 წელს მოგებამ 254.6 ათას მანეთს მიაღწია, 1963 წელს — 420,7 ათას მანეთს, ხოლო 1965 წელს — 699.1 ათას მანეთს. ახლა მეურნეობის მთლიანი შემოსავალი 1 მილიონ 62.8 ათას მანეთს უდრის. გასულ წელს მარტო პრემიის სახით მეურნეობის მუშებს 42 ათასი მანეთი მისცეს.

ჩვენს კითხვაზე, თუ როგორ მოიპოვეს მოკლე დროში ეს მიღწევები, მეურნეობის დირექტორმა ვ. ხორავამ გვიპასუხა:

— მთავარია მონდომება, საქმის სიყვარული და გამარჯვების რწმენა. ბევრი ფიქრობს, თითქოს ჩვენი მეურნეობა ჩამორჩენისაგან დაფნის კულტურამ იხსნა. მაგრამ ეს ასე არ არის. ციტრუსები დიდად მომგებიანია, აგრეთვე ვაშენებთ კაკალს, ზეთისხილს, ხეხილს, რაც თავის დროზე კიდევ უფრო გაამდიდრებს მეურნეობის სალაროს.

საბჭოთა მეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაცია (მდივანი პირველი აგროგანყოფილების მმართველი აგრონომი შ. ბაქაღუა). 49 კომუნისტს აერთიანებს. ყველა წარმოების გადამწყვეტ უბანზეა განაწილებული და აქტიურად შრომობს. პარტბიურო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ადამიანებთან მუშაობას, მეურნეობაში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების დანერგვას. კომუნისტების 85 პროცენტი ჩაბმულია ფიზიკურ შრომაში. 9 კომუნისტი ხელმძღვანელობს აგროგანყოფილებებსა და საწარმოო ბრიგადებს. ისინი უნარიანად და ენერგიულად უძღვებიან თავიანთ საქმეებს. მოწინავეთა რიგებში არიან ბონდო და ალექსანდრე ბუკიები, ამირან გოქაძე, შალვა ნარსია, სერგო კანკია, გიორგი ხვიჩია და სხვები.

ციტრუსებისა და დაფნის უხვი მოსავლის მოყვანაში დიდი წვლილი მიუძღვით მეურნეობის უფროს აგრონომს, ახალგაზრდა კომუნისტს შ. კანკიას, მეორე და მესამე აგროგანყოფილებების ხელმძღვანელებს — როზა რევიშვილსა და თორნიკე ლატარიას.

ყოველწლიურად იზრდება მეურნეობაში შრომის ნაყოფიერება, რაც იწვევს პროდუქციის გაიაფებას.

მუშა-მოსამსახურეები უზრუნველყოფილი არიან ბინებით, კარგი კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურებით. თავისუფალ დროს ისინი ტურისტულ მოგზაურობაში ატარებენ.

ამ სოფლის ტერიტორია მდიდარია წყაროს წყლებით, ჩანჩქერებით, ნაკადულებით, ტბებით. „პაპანწყვირეს" კლდეში ჩამდგარი ტბა ყინულივით ცივია. აქ მეურნეობამ კალმახები მოაშენა, ხოლო მეორე უსახელო ტბაში — ვერცხლისფერი კობრი. სულ აქვთ თევზის სამი აუზი და ყოველწლიურად ერთ ტონაზე მეტ თევზს აწვდიან მუშა-მოსამსახურეებს.

— არა რაც გაკეთდა მაინც არ არის საკმარისი, — ამბობს მეურნეობის თავკაცი და ყოველდღე რაღაც ახალს ეძებს მშრომელთა საკეთილდღეოდ.

რას ითვალისწინებენ ახალ ხუთწლედში?

ხუთწლედის ბოლოსათვის ლიმონისა და მანდარინის ფართობი გადიდდება 20 ჰექტარით. მანდარინის ნაყოფს გაზრდიან 800 ტონამდე, ლიმონისას — 600 ათას ცალამდე, გეგმის გადამეტებით ფორთოხალს მიიღებენ 10 ტონას. 1970 წელს მეურნეობა სახელმწიფოს მისცემს 1 მილიონ მანეთ მოგებას. ააგებენ კლუბის კაპიტალურ შენობას, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატს, ორ საცხოვრებელ ორსართულიან სახლს, სკოლას, საბავშვო ბაღს და სხვ.

საქართველოს კომუნისტების ყრილობამ ნიჭიერი მეურნე ვარლამ ხორავა სკკპ XXIII ყრილობის დელეგატად აირჩია.

იგი, ახალი წარმატებებით დამშვენებული, კრემლის ყრილობათა სასახლეში მონაწილეობას მიიღებს საბჭოთა კავშირის კომუნისტების დიდ ფორუმში.

გ. ნოდია,
„კომუნისტის" საკ. კორ.

• • •

სურათზე: ვ. ხორავა.
ფოტო ბ. სოკოლოვისა,
(საქტესის ფოტოქრონიკა).

ღირსშესანიშნავი წლისთავი მოძმე ხალხთა ცხოვრებაში

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ხელმოწერის მე-18 წლისთავის გამო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ტოდორ ჟივკოვს და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარეს გიორგი ტრაიკოვს გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიც საბჭოთა ხალხის სახელით გულითადად ულოცავენ მოძმე ბულგარელ ხალხს.

„18 წლის წინათ ხელმოწერილი ხელშეკრულება, — ნათქვამია დეპეშაში, — სავსებით შეესაბამება საბჭოთა ხალხისა და ბულგარელი ხალხის ინტერესებს. მას საფუძვლად უდევს მარქსიზმ-ლენინიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის დიადი პრინციპები, გამსჭვალულია ჩვენი ხალხების გულწრფელი მისწრაფებით დაეხმარონ და მხარი დაუჭირონ ერთმანეთს, ემსახურება სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცებას, ხელს უწყობს სოციალიზმისა და კომუნიზმის წარმატებით მშენებლობას, მთელ მსოფლიოში მშვიდობის უზრუნველყოფას.

საბჭოთა ადამიანები ამ ღირსშესანიშნავ დღეს სულითა და გულით უსურვებენ მოძმე ბულგარელ ხალხს ახალ მიღწევებს სოციალისტური ბულგარეთის მშენებლობაში".

დეპეშების გაცვლა

საბჭოთა კავშირ-თურქეთის მეგობრობისა და ძმობის 1921 წლის ხელშეკრულების დადების 45-ე წლისთავის გამო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს სულეიმან დემირელს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც გულითადად მიულოცა თურქეთის რესპუბლიკის მთავრობასა და ხალხს.

„საბჭოთა კავშირ-თურქეთის მეგობრობისა და ძმობის ხელშეკრულებამ, ნათქვამია დეპეშაში, — რომელსაც საფუძვლად უდევს მშვიდობის, თანასწორუფლებიანობის, ურთიერთპატივისცემის, მხარეთა ნდობისა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპები, დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის განვითარებაში. ხელშეკრულება კვლავ კარგ სამსახურს უწევს საბჭოთა ხალხისა და თურქი ხალხის ინტერესებს.

საბჭოთა მთავრობა კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში სსრ კავშირისა და თურქეთის ურთიერთობა კეთილნაყოფიერად ვითარდება მზარდი ურთიერთნდობისა და კეთილმეზობლობის მიმართულებით. საბჭოთა კავშირის განზრახვაა კვლავაც თანმიმდევრულად ახორციელებდეს მეგობრულ პოლიტიკას თურქეთის მიმართ.

ვიმედოვნებ რა, რომ საბჭოთა კავშირ-თურქეთის მეგობრული ურთიერთობა კიდევ უფრო განმტკიცდება და განვითარდება ჩვენი ხალხების საერთო ინტერესებისათვის და მშვიდობის საკეთილდღეოდ, გისურვებთ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, ჯანმრთელობას პირადად თქვენ და აყვავებას თურქ ხალხს".

საპასუხო დეპეშაში თურქეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი სულეიმან დემირელი მადლობას იხდის მილოცვისათვის და რომ იზიარებს იმედს, რომ თურქეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა კიდევ უფრო განმტკიცდება და განვითარდება.

„თურქმა ხალხმა და საბჭოთა ხალხმა, — აღნიშნულია დეპეშაში, — დახმარების ხელი გაუწოდეს ერთმანეთს იმ პერიოდში, როცა თავიანთი მომავლისათვის იბრძოდნენ, და, როგორც თქვენი აღმატებულება აღნიშნავს, თავიანთი ნებით დადეს ეს ხელშეკრულება, რომელსაც საფუძვლად უდევს თანასწორუფლებიანობის, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, ურთიერთპატივისცემისა და ნდობის პრინციპები. ეს პრინციპები თურქეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის საფუძველია.

ჩვენი ქვეყნების კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარება გულწრფელად სურთ აგრეთვე თურქეთის მთავრობასა და ხალხს. და ჩვენ დღეს კმაყოფილებით ვადევნებთ თვალს ამ განვითარებას.

დარწმუნებული ვართ, რომ ეს განვითარება შეესაბამება როგორც ორივე ხალხის ინტერესებს, ისე ჩვენს რაიონში და მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმის ინტერესებსაც. თურქეთის მთავრობაც ახორციელებს ღონისძიებებს ამ მიმართულებით".

უპატაკებენ მეცხოველეები

იბრძვიან რა სკკპ XXIII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, აზერბაიჯანის სსრ სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ვადამდე შეასრულეს სახელმწიფოსათვის რძისა და კვერცხის მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა — რძისა — 105 პროცენტით, კვერცხისა — 104 პროცენტით. (საქტესი).

თბომავალი „სომხეთი" კონაკრისაკენ გაემართა

ოდესა, 17 მარტი. (საქტესი). ყველა მოკავშირე რესპუბლიკის სამასამდე ტურისტი ოდესის ნავსადგურიდან თბომავალ „სომხეთით" გაემგზავრა აფრიკაში. 26 დღის განმავლობაში ისინი დაათვალიერებენ ალჟირს, კასაბლანკას (მაროკო), დაკარს (სენეგალი), მონროვიას (ლიბერია), ფრიტაუნს (სიერა-ლეონე). მოგზაურობა დამთავრდება გვინეის რესპუბლიკის დედაქალაქ კონაკრიში. თვრამეტი ეროვნების წარმომადგენლები — მუშები, კოლმეურნეები, ინჟინრები, ექიმები, პედაგოგები, მეცნიერები გაეცნობიან აფრიკის ქვეყნის ხალხის ცხოვრებას, რომელმაც დამოუკიდებლობა მოიპოვა.

კონაკრიდან ტურისტები თვითმფრინავებით დაბრუნდებიან სამშობლოში. თბომავალი „სომხეთი" ამავე მარშრუტით უკან წამოიყვანს საბჭოთა ტურისტების მეორე ჯგუფს, რომლებიც თვითმფრინავებით ჩავლენ გვინეის დედაქალაქში.

ქარელელ მეხილეებს გარდამავალი დროშა

ქარელი. (საკ. კორ.). გუშინ რაიონის კულტურის სახლში შეიკრიბნენ კოლმეურნეობების თავმჯდომარეები, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, პირველადი პარტორგანიზაციების მდივნები, სოფლის მეურნეობის მოწინავენი, ინტელიგენციის წარმომადგენლები.

შეკრება მიეძღვნა ქარელის რაიონისათვის საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშის გადაცემას. რაიონმა ეს ჯილდო დაიმსახურა 1965 წელს ხარისხოვანი ხილის წარმოებასა და დამზადებაში საუკეთესო მაჩვენებლებისათვის.

საზეიმო შეკრება გახსნა პარტიის ქარელის რაიკომის პირველმა მდივანმა დ. მაღალაშვილმა. მომხსენებელმა — სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა კ. შუბითიძემ ილაპარაკა გასული წლის შედეგებსა და მიმდინარე წლის ამოცანებზე.

რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წარმატებით დაამთავრეს გასული სამეურნეო წელი. განსაკუთრებით აღსანიშნავია მეხილეთა წარმატება, რაიონში ხეხილის ბაღებს 6.660 ჰექტარი უჭირავს. აქედან მსხმოიარეა 1.382 ჰექტარი. 1965 წელს რაიონის მშრომელებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 10.633 ტონა ხარისხოვანი ხილი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 7.388 ტონისა.

შეკრებაზე სიტყვები წარმოთქვეს აბისის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ზ. ნიორაძემ, ბრეთის საბჭოთა მეურნეობის მთავარმა აგრონომმა ა. ნადირაძემ, დვანის კოლმეურნეობის მეხილეობის მერგოლურმა ს. ბაციკაძემ, ბებნისის სანერგე საბჭოთა მეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანმა ა. მეტრეველმა, პარტიის გორის რაიკომის პირველმა მდივანმა რ. ბზიშვილმა, ქარელის პირველი საშუალო სკოლის პარტორგანიზაციის მდივანმა ნ. კობახიძემ და სხვ.

სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა პ. ა. როდიონოვმა და პარტიის ქარელის რაიკომის პირველ მდივანს დ. მაღალაშვილს გადასცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

ჩვენი დიდი სამშობლო

ე. კენედის განცხადება

ვაშინგტონი, 18 მარტი. (საქტესი). განსვენებული პრეზიდენტის ჯ. კენედის ძმამ, დემოკრატმა სენატორმა ედვარდ კენედიმ ჯონსონის მთავრობას მოუწოდა დათანხმდეს სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნულ ფრონტთან მოლაპარაკებაზე.

სენატორმა, რომელიც გამოვიდა ბოსტონში, თქვა: ჩემი აზრით, ვიეტნამის პრობლემის გამო შეუძლებელია რაიმე მოლაპარაკება, სანამ ამერიკის შეერთებული შტატები არ დათანხმდებიან, რომ ამ მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღონ სამხრეთვიეტნამელ პარტიზანთა წარმომადგენლებმა, როგორც ერთ-ერთმა მხარემ. ე. კენედიმ აღნიშნა, რომ განთავისუფლების ეროვნული ფრონტი კონტროლს უწევს სამხრეთ ვიეტნამის ტერიტორიის ნახევარზე მეტს. ეს არის ძალა, რომელსაც ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ, ხაზი გაუსვა მან. ამრიგად ედვარდ კენედიმ თავის გამოსვლაში ერთხელ კიდევ დაუჭირა მხარი წინადადებას, რომ სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნულმა ფრონტმა მონაწილეობა მიიღოს მოლაპარაკებაში.

მშვიდობიანი თანაარსებობის მაგალითი

ანკარა, 18 მარტი. (საქტესი). რუსეთის საფ რესპუბლიკისა და თურქეთის მეგობრობისა და ძმობის ხელშეკრულება, რომელიც 1921 წელს 16 მარტს დადეს მოსკოვში, წერს ამ ხელშეკრულების 45-ე წლისთავისადმი მიძღვნილ სტატიაში თურქული გაზეთი „ზაფერი", „სხვადასხვა სისტემის ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობის პირველი მაგალითია".

გაზეთი შემდეგ აღნიშნავს, რომ „თურქეთში კმაყოფილებით ხვდებიან ღონისძიებებს, რომლებსაც ორივე მხარე ახორციელებს ამ ბოლო დროს კეთილმეზობლური ურთიერთობის განმტკიცებისა და ურთიერთნდობის ატმოსფეროს შექმნის მიზნით".

მდგომარეობა ინდონეზიაში

ნიუ-იორკი, 18 მარტი. (საქტესი). ინდონეზიის პრეზიდენტმა სუკარნომ გადააყენა თავისი კაბინეტის 15 მინისტრი, მათ შორის პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი სუბანდრიო და პრემიერ-მინისტრის მესამე მოადგილე ხაირულ სალეჰი. ამას იუწყება ყუალა-ლუმპურიდან ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი, რომელიც იმოწმებს ჯაკარტის რადიოს ცნობას.

ლონდონი, 18 მარტი. (საქტესი). მინისტრმა — ინდონეზიის სახმელეთო ძალების სარდალმა, გენერალ-ლეიტენანტმა სუხარტომ დღეს გამოაცხადა, რომ არმიამ იზოლაცია უყო პრემიერ-მინისტრის პირველ მოადგილესა, და საგარეო საქმეთა მინისტრს სუბანდრიოს, პრემიერ-მინისტრის მესამე მოადგილეს ხაირულ სალეჰსა და ცამეტ სხვა მინისტრს მათი დაცვის მიზნით. ამას იუწყება რეიტერის სააგენტოს სინგაპურელი კორესპონდენტი, რომელიც იმოწმებს ჯაკარტის რადიოს გადაცემას.

ნიუ-იორკი, 18 მარტი. (საქტესი). როგორც იუწყება ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს სინგაპურელი კორესპონდენტი, რომელიც იმოწმებს ჯაკარტის რადიოს, სამხედრო ხელისუფლებმა თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარეს ინდონეზიის რადიო და პრესა. რადიოს გადაცემაში ნათქვამია, რომ მასობრივი ინფორმაციის მთელი საშუალებანი ამიერიდან დაექვემდებარება გენერალს სუბროტოს, რომელიც ინდონეზიის შეიარაღებული ძალების საინფორმაციო სამსახურის უფროსია.

იპოვეს ამერიკის ატომური ბომბი

ვაშინგტონი, 18 მარტი. (საქტესი). ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო - საზღვაო ძალების წყალქვეშა ნავმა „ალვინმა" ხუთ მილზე ესპანეთის სანაპიროდან 2.500 ფუტ სიღრმეზე იპოვა დაახლოებით 20 მეგატონი სიმძლავრის ამერიკული წყალბადის ბომბი. ასოშიეიტედ პრესის სააგენტო, რომელიც იუწყება, რომ იპოვეს ამერიკული ბომბი, წერს თითქოს მისი ფოტოსურათები ცხადყოფენ, რომ ბომბი დაზიანებული არ არის და ატომ შეუძლებელია ხმელთაშუა ზღვის რადიოაქტიური მოწამვლა.

ამერიკის წყალბადის ბომბის ძიება დაახლოებით ორ თვეს მიმდინარეობდა. ამან კიდევ ერთხელ მიაქცია მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება იმას, თუ რამდენად საშიშია ატომური იარაღით აღჭურვილი ამერიკული ბომდამშენების ფრენა სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე. ორმა სხვა წყალბადის ბომბმა, რომლებიც ესპანეთში ჩამოვარდა ამერიკის დამსხვრეული „ბ-52"-ის ტიპის ბომბდამშენიდან, თვით ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის აღიარებით გამოიწვია რადიოაქტიური ნალექი ესპანეთის სოფელ პალომარესის მიდამოებში. ამერიკის გემებს ამ რაიონიდან მოწამლული მიწა და მცენარეულობა ატლანტიკის ოკეანით გადააქვთ ამერიკის შეერთებულ შტატებში, რათა ჩამარხონ რადიოაქტიური მასალათა სასაფლაოზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვიხილავთ სკკპ XXIII ყრილობის დირექტივების პროექტს

სახალხო განათლება ხვალ

თ. ლაშქარაშვილი,
საქართველოს სსრ განათლების მინისტრი.

ჩვენი სკოლების მასწავლებელთა კოლექტივები, განათლების ორგანოები, რესპუბლიკის ყველა მშრომელთან ერთად, გულდასმით განიხილავენ სკკპ XXIII ყრილობის დირექტივების პროექტს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966-1970 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

დირექტივების პროექტით დიდი ამოცანებია დასახული სახალხო განათლების დარგში. ახალ ხუთწლედში ძირითადად უნდა დამთავრდეს ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლა. ამ ღონისძიების განხორციელება დიდ როლს შეასრულებს მშრომელთა კულტურული და იდეური დონის შემდგომი ამაღლების, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისა და განმტკიცების საქმეში.

საყოველთაო საშუალო განათლების განხორციელება მასწავლებელთა, სკოლის ხელმძღვანელთა და განათლების ორგანოების დაუღალავ შემოქმედებით შრომას მოითხოვს. საგრძნობლად გაიზრდება მე-9 კლასების მოსწავლეთა კონტინგენტი: თუ მიმდინარე 1965-1966 სასწავლო წლის დასაწყისისათვის ჩვენი რესპუბლიკის რვაკლასდამთავრებულთა საერთო რაოდენობიდან მეცხრე კლასებში ჩაბმული იყო 80 პროცენტი, მომავალ — 1966-1967 სასწავლო წლისათვის ეს რიცხვი გაიზრდება 84,7 პროცენტამდე. თუ 1966-1967 სასწავლო წლისათვის მეცხრე კლასებში ჩაბმულ მოსწავლეთა რიცხვი მკვეთრად გაიზრდება, ახალი ხუთწლედის ბოლოსათვის, კიდევ უფრო მეტად. ხოლო მოსწავლეთა საერთო რაოდენობა რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 900 ათასს გადააჭარბებს.

ამის შესაბამისად საგრძნობად იზრდება საშუალო სკოლების ქსელი. საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლა მოითხოვს საშუალო სკოლების მატერიალური ბაზის საგრძნობად განმტკიცებას, სწავლისა და აღზრდისათვის ყველა აუცილებელი პირობის შექმნას. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სოფლის სკოლას.

საყოველთაო საშუალო სწავლების განხორციელება დიდი პედაგოგიური პრობლემაა, იგი მოითხოვს სასწავლო პროცესის სრულყოფას, მთელი სასწავლო და აღმზრდელობითი მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესებას და ამის საფუძველზე მეორეწლიანობის აღმოფხვრას.

სახელმწიფო დიდ თანხებს ხარჯავს სასკოლო მშენებლობაზე. გარდა ამისა, რესპუბლიკის ბევრ რაიონში ფართოდ არის გაშლილი ინიციატივური მშენებლობა. ბევრ რაიონში (მახარაძის, ზუგდიდის, ლანჩხუთის, ქობულეთის და სხვ.) კოლმეურნეობები თავიანთი სახსრებით აგებენ კაპიტალურ სასკოლო შენობებს, რითაც საგრძნობად უწყობენ ხელს სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცებას, ბავშვთა სწავლისათვის ნორმალური პირობების შექმნას.

სკოლებიდან შორს მცხოვრები ბავშვებისათვის მთელ რიგ რაიონებში არსებობს სასკოლო ინტერნატები. ახალი ხუთწლედის მანძილზე საგრძნობად იზრდება სასკოლო ინტერნატებში მცხოვრებ მოსწავლეთა რაოდენობა. საჭირო იქნება ასეთ ადგილებში სასკოლო შენობების აგებასთან ერთად გათვალისწინებულ იქნას სასკოლო ინტერნატების მშენებლობაც, სადაც იცხოვრებენ მოსწავლენი, რომელთა საცხოვრებელი ბინა დიდი მანძილით არის დაშორებული სკოლას. უნდა შეიქმნას ყველა აუცილებელი პირობა ინტერნატში მცხოვრებ ბავშვთათვის.

სერიოზული მნიშვნელობა ენიჭება საყოველთაო სწავლების ფონდის დროულად და რაციონალურად გამოყენებას იმ მოსწავლეთათვის მატერიალური დახმარების გასაწევად, რომლებიც ამას საჭიროებენ. უნდა აღინიშნოს, რომ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ საგრძნობია იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ამთავრებენ რვაწლიანი სკოლის კურსს და გადიან სკოლიდან. ამ გარემოებას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. ყველა ზომა უნდა მივიღოთ ბავშვთა კონტინგენტის მთლიანად შენარჩუნებისათვის.

დირექტივების პროექტით გათვალისწინებულია ხუთწლედის მანძილზე ერთიორად და უფრო მეტად გაიზარდოს სკოლებისა და გახანგრძლივებული დღის ჯგუფებში მოსწავლეთა რიცხვი, 1,4-ჯერ და მეტად გაზრდილ იქნას მოსწავლეთა რიცხვი მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში.

თუ ამჟამად გახანგრძლივებულ სკოლებსა და გახანგრძლივებულ ჯგუფებში გვყავს 16 ათასი ბავშვი, მომავალ 1966-1967 სასწავლო წელს მათი რიცხვი 25 ათასამდე გაიზრდება, ხოლო გეგმის პროექტით 1970-1971 სასწავლო წლისათვის მან 45 ათასს უნდა მიაღწიოს, ე. ი. გათვალისწინებულია ახლანდელი რიცხვის 2,4-ჯერ გაზრდა.

თუ ამჟამად რესპუბლიკის მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში 54 ათასი მოსწავლე ირიცხება, 1970-1971 სასწავლო წლისათვის, გეგმის პროექტით, ამ ტიპის სკოლებში ისწავლის 67.100 მოსწავლე.

მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების კონტინგენტის გაზრდა მოითხოვს განათლების ორგანოების, საწარმო-დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელების კიდევ უფრო მეტ ყურადღებას ამ სკოლებისადმი. ერთიან ღონისძიებათა განხორციელებით მიღწეულ უნდა იქნას, რომ წარმოებაში დასაქმებულმა ახალგაზრდობამ ნამდვილად მიიღოს კარგი განათლება და აიმაღლოს კვალიფიკაცია.

ახალი ხუთწლედის გეგმის პროექტით გათვალისწინებულია აგრეთვე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ბავშვთა რიცხვის გაზრდა, იმ ვარაუდით, რომ ძირითადად დაკმაყოფილებულ იქნას ქალაქის მოსახლეობის მოთხოვნილება საბავშვო დაწესებულებებზე და მნიშვნელოვნად უზრუნველყოფილ იქნას ასეთი დაწესებულებებით სოფლის მოსახლეობა.

ჩვენი რესპუბლიკის მარტო განათლების სამინისტროს სისტემის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ამჟამად 50 ათასი ბავშვია. ახალი ხუთწლედის მანძილზე ეს რიცხვი ყოველწლიურად გაიზრდება. გეგმის პროექტით გათვალისწინებულია 1970-1971 სასწავლო წლისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში გაერთიანებულ იქნას 90 ათასი ბავშვი, ესე იგი 1,8-ჯერ მეტი, ვიდრე 1965 წელს იყო.

ჭეშმარიტად დიდი მნიშვნელობის ამოცანებია დასახული დირექტივების პროექტით სახალხო განათლების მუშაკების წინაშე. ამ ამოცანების გადაწყვეტა დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს. ეჭვი არ არის, რომ მშობლიური კომუნისტური პარტიის შეუნელებელი მზრუნველობით გარემოსილი ჩვენი რესპუბლიკის მრავალრიცხოვანი მასწავლებელთა არმია, როგორც ყოველთვის, მომავალშიც მთელ თავის ძალებს, ცოდნასა და გამოცდილებას მოახმარს ფრიად პასუხსაგები და საპატიო ამოცანის წარმატებით გადაწყვეტას — აღუზარდოს დედა-სამშობლოს ღრმა ცოდნით შეიარაღებული, შრომისმოყვარე, სამშობლოსათვის თავდადებული, კომუნიზმის საქმისათვის მებრძოლი ახალი თაობა.

მზადება რუსთაველის იუბილეისათვის

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმი

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მორიგმა პლენუმმა, რომელიც ორ დღეს გრძელდებოდა, განიხილა ორი საკითხი: მზადება შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის და საქართველოს მწერალთა VI ყრილობის მოწვევის შესახებ.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ პოეტმა-აკადემიკოსმა ირაკლი აბაშიძემ თავის შესავალ სიტყვაში ილაპარაკა გენიალური ქართველი პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის იუბილესათვის მზადების მიმდინარეობაზე.

იუბილესათვის მზადება არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მთელ ჩვენს ქვეყანაში, — განაცხადა ირ. აბაშიძემ, — დღითიდღე ფართოვდება. საიუბილეო თარიღისათვის მოძმე რესპუბლიკებში ამზადებენ „ვეფხისტყაოსნის" ახალ გამოცემებს. ბევრგან ხელახლა თარგმნიან ამ უკვდავ პოემას, რისთვისაც მოძმე რესპუბლიკების მწერალთა კავშირების თხოვნით ჩვენ დავამზადეთ და დავუგზავნეთ „ვეფხისტყაოსნის" სიტყვასიტყვითი თარგმანის ახალი რედაქცია. იუბილესათვის თბილისში გამოიცემა პოემის ინგლისური და ფრანგული თარგმანი. მოსკოვის, ლენინგრადის გამომცემლობები, ამზადებენ გამოსაცემად „ვეფხისტყაოსნის" რუსულ ენაზე შესრულებულ სხვადასხვა თარგმანს.

გამოსაცემად მზადდება აგრეთვე რუსთაველისადმი მიძღვნილი სამეცნიერო შრომებისა და მხატვრული ნაწარმოებების კრებულები, მონოგრაფიები, რუსთაველის აფორიზმები რუსულ და ქართულ ენებზე, საფოსტო მარკები, მხატვრული ალბომები და სხვ.

რესპუბლიკურ საიუბილეო კომიტეტს შემუშავებული აქვს იუბილეს ფართო გეგმა, რომლის საფუძველზე ამჟამად მიმდინარეობს მზადება. არქიტექტორები და მოქანდაკეები მუშაობენ რუსთაველის ძეგლის პროექტზე. თბილისში აღიმართება დიდი პოეტის ახალი ძეგლი. იუბილეს დღეებში სპეციალური გამოფენები მოეწყობა მოსკოვსა და თბილისში.

ასევე ნაყოფიერად ემზადებიან იუბილესათვის ქართველი მხატვრები. რუსთაველზე იწერება ახალი პიესა, მოთხრობები, ლექსები. უკვე ფართო ხასიათს იღებს დიდი პოეტის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიები, ლექციები, მოხსენებები.

რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით თბილისში მოწვეულია პოეტების საერთაშორისო ფორუმი თემაზე „პოეტი და მკითხველი".

დასასრულ ირ. აბაშიძე ლაპარაკობს რუსთაველის საიუბილეო კომიტეტის საგამომცემლო კომისიის მუშაობაზე.

პლენუმზე მოხსენებით „ვეფხისტყაოსნის" მეცნიერული ტექსტის მომზადების შესახებ გამოვიდა აკადემიკოსი გიორგი წერეთელი.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებმა ა. შანიძემ და ა. ბარამიძემ, მწერალმა-აკადემიკოსმა კ. გამსახურდიამ, პროფესორმა ს. კაკაბაძემ, მწერლებმა დ. შენგელაიამ და ვლ. მაჭავარიანმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა შ. ვირსალაძემ, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა ნ. ნათაძემ.

პლენუმმა მოისმინა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნის ს. ჩილაიას მოხსენება საქართველოს მწერალთა VI ყრილობის მოწვევის შესახებ. კამათში გამოვიდნენ ჟურნალ „ცისკრის" რედაქტორი ხ. ბერულავა, ჟურნალ „მნათობის" რედაქტორი ბრ. აბაშიძე, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი ბ. ჟღენტი, ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიას" რედაქტორი მიხ. მრევლიშვილი, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" პასუხისმგებელი მდივანი შ. ქარელიშვილი. პლენუმმა დაადგინა საქართველოს მწერალთა VI ყრილობა მოწვეულ იქნას მიმდინარე წლის 19 მაისს.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა დ. ბ. სტურუამ.

ეკონომიური მეცნიერება სახალხო მეურნეობის სამსახურში

პ. გუგუშვილი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

სკკპ პროგრამაში ნათქვამია: „ეკონომიური მეცნიერების ამოცანაა ის არის, რომ განაზოგადოს საზოგადოების ეკონომიური ცხოვრების ახალი მოვლენები, დაამუშაოს სახალხო-სამეურნეო პრობლემები, რომელთა გადაჭრა ხელს უწყობს კომუნიზმის წარმატებით მშენებლობას".

აქედან უკვე ნათელია, თუ რაოდენ დიდია ეკონომიური მეცნიერების როლი ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრებისა და განსაკუთრებით სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეში, მშრომელთა კომუნისტური აღზრდისა და ყოველგვარი ანტიკომუნიზმის წინააღმდეგ იდეოლოგიური ბრძოლის სფეროში.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია და ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ვ. ი. ლენინის სიტყვები: **„ჩვენთვის ძვირფასია კომუნიზმი მხოლოდ მაშინ, როდესაც ის ეკონომიურად დასაბუთებულია".**

ეკონომიური მეცნიერება ის თეორიული საფუძველია, რომლის შეშვეობითაც ჩვენი პარტია და სახელმწიფო ახორციელებენ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობას, ხელმძღვანელობენ საზოგადოების ეკონომიურ ცხოვრებას, რომელიც, თავის მხრივ, ყოველთვის ცხადყოფს, რომ ეკონომიური კანონების უგულებელყოფა, ე. ი. სახალხო-სამეურნეო მშენებლობაში (გეგმიანობაში, ფასების დადგენაში და სხვ.) სუბიექტივიზმი, ვოლუნტარიზმი, ადმინისტრირება არ შეიძლება მარცხით არ დამთავრდეს.

სკკპ XXIII ყრილობის დირექტივების პროექტი სახავს სახალხო მეურნეობის განვითარების კოლოსალურ ამოცანებს, რომელთა განხორციელება დიდადაა დამოკიდებული გეგმიანობისა და სოციალისტური წარმოების ხელმძღვანელ მუშაკთა ეკონომიური ცოდნისა და გამოცდილების დონეზე.

არსებული მდგომარეობა ამ თვალსაზრისით ისეთია, რომ აუცილებელია გაფართოვდეს და ძირეულად გაუმჯობესდეს **ეკონომიური კადრების მომზადება,** რათა მათ შეძლონ მოწოდების სიმაღლეზე გადაჭრან მათ წინაშე მდგომი დიდმნიშვნელოვანი ამოცანები.

საბჭოთა ეკონომისტების უწმინდესი ვალია სოციალისტური საზოგადოების მთელი ცხოვრების გამოცდილების შესწავლისა და განზოგადების საფუძველზე შემოქმედებითად განავითარონ მარქსისტულ-ლენინური ეკონომიური თეორია: — საფუძვლიანად გააშუქონ, მაგალითად, სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომიის ისეთი პრობლემები, როგორიც არის ფასების თეორია, მეურნეობის ხელმძღვანელობა, სამეურნეო ანგარიშიანობა, მატერიალური სტიმულაცია, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტუროობის ამაღლება, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის კანონზომიერებანი, საზოგადოებრივი პროდუქტის სტრუქტურის და საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების, შრომის საერთაშორისო სოციალისტური განაწილების და სხვა საკითხები.

აქამდე ეკონომისტები სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ მეურნეობის, საწარმოს ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლას, კერძოდ, წარმოების გეგმიანობაში ცენტრალიზმისა და დამოუკიდებლობის მართებული შეთანაწყობის, სოციალისტური მეურნეობის გაძღოლისა და მატერიალური სტიმულაციის პრაქტიკაში ეკონომიური ბერკეტების გამოყენების და სხვა საკითხებს.

უკანასკნელ წლებში უმჯობესდება კვლევაძიება სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომიის საკითხებზე. ამჟამად კონკრეტულ მასალათა ანალიზის, გეგმიანობისა და სამეურნეო ორგანოებთან კონტაქტის პირობებში მიმდინარეობს კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან დაკავშირებული აქტუალური თეორიული საკითხების შესწავლა.

შეიქმნა საკმაოდ მდიდარი ლიტერატურა სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომიის საკითხებზე. გარდა სახელმძღვანელოებისა, გამოიცა თვითგანათლებისათვის საჭირო საკითხავი წიგნები და მონოგრაფიები ისეთ აქტუალურ პრობლემებზე, როგორიც არის: პოლიტიკური ეკონომიის კანონები და კატეგორიები, სოციალიზმის კომუნიზმში გადაზრდის კანონზომიერებანი, ეროვნული შემოსავალი, კვლევწარმოების ტემპები და პროპორციები, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა; მსოფლიო სოციალისტური სისტემა და მისი განვითარების კანონზომიერებანი და სხვ.

ამ წარმატებათა, აგრეთვე კვლევაძიებაში ეკონომიურ-მათემატიკური მეთოდების განვითარების შედეგად ამაღლდა სწავლულ ეკონომისტთა მიერ შესრულებულ სამუშაოთა ეფექტურობა.

მიუხედავად ამისა, მაინც მრავალი აქტუალური საკითხია დღემდე შეუსწავლელი ანდა საკმაო სიღრმით გაუშუქებელი.

აქ საჭიროა ისიც აღინიშნოს, რომ მთელი რიგი წლების მანძილზე ისეთი მდგომარეობა იყო შექმნილი, რომ ეკონომისტებს ხელი არ მიუწვდებოდათ აღრიცხვის, ანგარიშგებისა და გეგმიანობის პირველადი მასალებისადმი. ამიტომ ჩვენი ეკონომისტები იძულებული იყვნენ ესარგებლათ მხოლოდ სტატისტიკური სამმართველოს მიერ გამოქვეყნებული ნაწილობრივი, ხარვეზიანი და ზოგჯერ ურთიერთშეუდარებადი მონაცემებით. ცხადია, ასეთ მასალათა საფუძველზე დაწერილი გამოკვლევები თავისი დონით არ აღემატებოდნენ პროპაგანდისტულ და ე. წ. კონიუნქტურულ, კომენტატორულ ლიტერატურას.

ჩვენი აზრით, სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომიისა და სოციალისტური საწარმოს ეკონომიკის საკითხთა შორის კავშირის გაუმჯობესებისა და სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობისათვის უკეთესი კადრების მომზადების მიზნით **უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში შემოღებულ უნდა იქნას „სოციალისტური საწარმოს ხელმძღვანელობის საფუძვლების"** (ან ამ შინაარსის მატარებელი სხვა უფრო შესაფერი სახელწოდების) **კურსი.** ამასთან კარგი იქნება, თუ **გამოიცემა პერიოდული ჟურნალი სამრეწველო საწარმოთა ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობის საკითხებზე.**

კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პირობებში ეკონომიური სამსახური მეურნეობის გამგებლობის სისტემის უმნიშვნელოვანეს რგოლად იქცევა. ეკონომიური სამსახური დანიშნულების დონემდე რომ ამაღლდეს, საჭიროა თანმიმდევრული, ყოველმხრივი, ამომწურავი და პირველ წყაროებზე დაფუძნებული ინფორმაცია, აგრეთვე თანამედროვე გამოთვლითი მანქანური ტექნიკა, რომელსაც შეძლება უზრუნველყოს მიღებული მონაცემების საჭირო თვალსაზრისით ზუსტი და სწრაფი გადამუშავება. ეს აუცილებელია გეგმიანობის, წარმოების მასალითა და ტექნიკით უზრუნველყოფის, მოთხოვნის შესწავლის და გასაღების ორგანიზაციის (ბაზრის კონიუნქტურის) — ურთიერთშეთანხმებული წარმართვისათვის. მეურნეობის გამგებლობის ყველა რგოლში უნდა ამაღლდეს ეკონომიური ანალიზის დონე, ურომლისოდაც შეუძლებელია რაციონალური გეგმიანობის მიღწევა.

ეკონომიური სამსახურის სფეროებში კი არცთუ ისე იშვიათად იყო შემთხვევები, როცა მთავარი ეკონომისტის, საგეგმო განყოფილების გამგის, საფინანსო ნაწილის უფროსის, დირექტორის კომერციული მოადგილის, სტატისტიკური განყოფილების უფროსის, სავაჭრო განყოფილების გამგის და სხვა თანამდებობები ეჭირათ არაეკონომისტებს.

ჩვენ ერთი წუთითაც არ მოგვივა აზრად რომ ინჟინერი, სტატისტიკოსი ანდა ისტორიკოსი სინჯავდეს და დიაგნოზს უსვამდეს ავადმყოფს. მაგრამ, სამწუხაროდ, იყო შემთხვევა, როცა სახელმწიფოებრივი ეკონომიური სამსახურის უმნიშვნელოვანეს საქმეებს ზოგჯერ ვანდობდით ადამიანებს, რომლებსაც სპეციალური, ე. ი. ეკონომიური განათლება და პრაქტიკული გამოცდილება არა ჰქონდათ.

ჩვენს დროში ხშირად ვიმეორებთ ვ. ი. ლენინის ბრძნულ სიტყვებს, რომ **სოციალიზმი — ეს არის აღრიცხვა,** მაგრამ ვივიწყებთ, რომ **აღრიცხვა, სტატისტიკური იქნება ის თუ ბუხჰალტრული, უწინარეს ყოვლისა ეკონომიური სამსახურის საქმეა.**

ეკონომიური მეცნიერების, განათლებისა და ეკონომიური სამსახურის რაციონალურად დაყენებულ მუშაობას ხელს შეუწყობს **ეკონომისტთა საზოგადოების ორგანიზაცია.** ეს საზოგადოება გააადვილებდა მეცნიერი და პრაქტიკოსი ეკონომისტების ღონისძიებათა გაერთიანებას ეკონომიური მუშაობის გაუმჯობესების, გეგმიანობისა და აღრიცხვის აქტუალური პრობლემების შემუშავების, უმაღლესი ეკონომიური განათლების დონის ამაღლების, სახელმძღვანელოთა აპრობაციის, მონოგრაფიულ გამოკვლევათა და საერთოდ პრაქტიკული ხასიათის წინადადებებისა და რეკომენდაციების წინასწარ განხილვის საქმეში.

ეს საზოგადოება თავის წვლილს შეიტანდა სახალხო-სამეურნეო პრობლემების კომპლექსური შესწავლის საქმეში. იგი ამავე მიზნით მიაღწევდა თავისი მუშაობის კოორდინაციას, მაგალითად, ქიმიკოსთა, არქიტექტორთა და სხვა შესაბამის საზოგადოებებთან.

ეკონომიური კადრების მომზადების საქმე კარდინალურად უნდა გაუმჯობესდეს. ამას დაბეჯითებით მოითხოვს კომუნისტური მშენებლობის სისხლხორცეული ინტერესები, და აქ საქმე ეხება არა მხოლოდ სახალხო მეურნეობის პრაქტიკას, არამედ, არანაკლები ზომით მეცნიერული კადრების მომზადების საკითხს.

მართალია, უკანასკნელ ხანებში რამდენადმე გაიზარდა სწავლულ ეკონომისტთა რიცხვი, ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატების და დოქტორების რაოდენობა, მაგრამ მაინც საგრძნობია სწავლულ ეკონომისტთა დიდი ნაკლებობა როგორც უმაღლეს სასწავლებლებში, ისე სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ეკონომიური კადრების მომზადების მხრივ საქართველო მნიშვნელოვნად ჩამორჩება საშუალო საკავშირო მაჩვენებელს. საილუსტრაციოდ საკმარისია მოვიყვანოთ ერთი ფაქტი.

სსრ კავშირში 1960-1964 წლების მანძილზე უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთა შორის ეკონომისტების წილი შეადგენს 9,8 პროცენტს, ხოლო საქართველოში — 6 პროცენტს.

მართალია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიურმა ფაკულტეტმა უკანასკნელ ხანს შესამჩნევად გააუმჯობესა მუშაობა, მაგრამ ეს საკმარისი არ არის.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ფაკულტეტის სადამოს და დაუსწრებელ განყოფილებათა სტუდენტების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი მუშაობს სპეციალობის მიხედვით. ამავე დროს დაუსწრებელი და სადამოს დასწრებული განყოფილებისათვის საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეულ 80-მდე მასწავლებელთაგან მხოლოდ 17 კაცს აქვს სამეცნიერო ხარისხი და წოდება.

მაგრამ არა მხოლოდ დაუსწრებელ, არამედ დასწრებულ განყოფილებაზეც სამეცნიერო დისციპლინათა მაღალ დონეზე სწავლებას აბრკოლებს შესაბამისი მატერიალური ბაზის მოუმზადებლობა, მთელ რიგ დისციპლინაში სახელმძღვანელოებისა და დამხმარე, საკითხავი წიგნების უქონლობა — განსაკუთრებით ქართულ ენაზე. ამას ემატება კვალიფიციურ ლექტორთა სიმცირე ისეთ სასწავლო დისციპლინებში, როგორიც არის ეკონომიურ კვლევაში მათემატიკური მეთოდის გამოყენება, შრომის ეკონომიკა, მრეწველობის ეკონომიკა, ინდუსტრიულ საწარმოთა ორგანიზაცია და დაგეგმვა, საქონელმცოდნეობა და ა. შ.

სახალხო მეურნეობის ეკონომიური კადრებით რეალურად უზრუნველყოფის მიზნით საჭიროა უახლოეს დროში თბილისში შეიქმნას სახალხო მეურნეობის ინსტიტუტი (ნაწილობრივ უნივერსიტეტისა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიური ფაკულტეტების ბაზაზე).

საქმე ის არის, რომ ამჟამად თბილისის უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის დასწრებულ, დაუსწრებელ და სადამოს დასწრებულ სექტორებზე სულ 4.200 სტუდენტი ირიცხება. სტუდენტთა ესოდენ დიდი კონტინგენტის (რაც თავისი სიდიდით მთელი ინსტიტუტებისა და ზოგიერთი უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო რაოდენობას აღემატება) მომსახურება ფაკულტეტის დეკანატის ისედაც მცირე აპარატის მიერ ძალიერ გაძნელებულია. ეს, ბუნებრივია, იწვევს მთელ რიგ სერიოზულ დარღვევებს სასწავლო-პედაგოგიური პროცესისა და საერთოდ სტუდენტთა აკადემიური წარმატების სფეროში.

არსებულ პირობებში და პერსპექტიული თვალსაზრისითაც აუცილებელია გატარდეს **ეკონომიური კადრების მომზადების დიფერენციაცია** იმ მიმართულებით, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტი ამზადებდეს, ვთქვათ, სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომიის, სახალხო მეურნეობის გეგმიანობის, სტატისტიკის, ეკონომიკური კიბერნეტიკის, ფინანსებისა და სხვ. ფართო პროფილის სპეციალისტებს, ხოლო სახალხო მეურნეობის ინსტიტუტი (ან სხვა შესაფერისი სახელწოდების უმაღლესი ეკონომიური სასწავლებელი) — რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ცალკე დარგების ეკონომისტებს. ცხადია, ისინი ეკონომიური თეორიის კარგ ცოდნასთან ერთად აღჭურვილი იქნებიან ამა თუ იმ დარგის წარმოებისა და ორგანიზაციის საფუძვლიანი ცოდნით.

ასეთი ცოდნით შეიარაღებული ეკონომისტები, ინჟინერ-ეკონომისტები შეძლებენ კვალიფიციურად გადაჭრან სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ დარგის, სახელმწიფო უწყების, საწარმოს, საამქროს წინაშე მდგომი ეკონომიური ამოცანები.

ეჭვი არ არის, რომ საბჭოთა ეკონომიური მეცნიერება თავის წვლილს შეიტანს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიად საქმეში.

რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა აქტივი

თბილისის რკინიგზელთა სახლში 18 მარტს გაიმართა საქართველოს მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა სამეურნეო-პროფკავშირო აქტივი. აქვე მოწყობილი იყო რესპუბლიკის მრეწველობის ამ დარგის საწარმოთა ნაწარმის ნიმუშთა გამოფენა. თვალს ახარებდა ლამაზი მოდური ფეხსაცმელი, გემოვნებით შესრულებული ტრიკოტაჟის ნაწარმი, სხვადასხვა ფერის ქსოვილები, ფაიფური ნოხები. ეს იმის მკაფიო დადასტურებაა, რომ რესპუბლიკის მსუბუქ მრეწველობას შეუძლია დააკმაყოფილოს მოსახლეობის მზარდი გემოვნება. გამოუშვას გამძლე, ლამაზი საქონელი.

გამოშვებული ნაწარმის ხარისხს დიდი ყურადღება დაეთმო საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრის **ვ. სორდიას** მოხსენებაში, რომელიც მიეძღვნა რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა 1965 წლის მუშაობის შედეგებს და ამოცანებს, რომლებიც დასახა სკკპ XXIII ყრილობის დირექტივების პროექტმა ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობდნენ გორის ბამბეულის კომბინატის დირექტორი **ა. კარსანიშვილი,** თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს" ოსტატის თანაშემწე **ბ. თედორაძე,** თბილისის ფაბრიკა „საქტრიკოტაჟის" დირექტორი **ა. ანტონოვა,** ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის პროფკავშირის საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ა. ბაკურაძე,** თბილისის № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისნის" პარტკომის მდივანი **მ. მაქსიმოვი,** საფეიქრო, და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე **ე. ლავთაძე,** ბათუმის № 5 სამკერვალო ფაბრიკის მკერავი **ნ. სურმანიძე,** თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის დირექტორი **გ. შარიქაძე,** საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საფეიქრო მრეწველობის განყოფილების უფროსი **ვ. ნიკოლაიშვილი,** თბილისის მატყლსართავი ფაბრიკის მთავარი ინჟინერი **ო. ყიფიანი.**

სომხეთის მშრომელთა სახელით აქტივის მონაწილეებს მიესალმა სომხეთის სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოადგილე **ა. ხაზანოვი.**

აქტივზე გამოვიდნენ სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოადგილე **პ. მაქსიმოვი** და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

აქტივმა მიიღო რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა სოციალისტური ვალდებულებანი 1966 წლისათვის.

აქტივის მუშაობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები **რ. ფრუიძე, შ. კიკნაძე.** (საქდესი).

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროში ამასწინათ დამონტაჟდა ფოლადის უწყვეტი ჩამოსხმის ახალი დანადგარი, რომელიც თავისი დიდი გაბარიტებით პირველია საბჭოთა კავშირის მეტალურგიაში. სურათზე: (მარჯვნიდან-მარცხნივ): ტექნოლოგი თ. ტაბიძე, ხიდური ოწინარის მემანქანე ვ. ხუგაშვილი და უფროსი ოპერატორი ი. ფულარიანი ახალი დანადგარის გამოცდის პერიოდში ამოწმებენ ცეცხლგამძლე მასალის ხარისხს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ასე გვიკარნახებს ცხოვრების გამოცდილება

მ. ორაგველიძე,
მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ამა წლის 27 იანვარს გაზეთ „კომუნისტში" გამოქვეყნდა ჩემი წერილი სათაურით: „როგორი უნდა იყოს საკოლმეურნეო წესდება?" წერილმა მშრომელთა დიდი გამოხმაურება ჰპოვა. გულდასმით გავეცანი სტატიებს, რომლებიც ამ წერილთან დაკავშირებით გამოქვეყნდა გაზეთ „კომუნისტში", აგრეთვე იმ მრავალრიცხოვან წერილებს, რომლებიც რედაქციამ მიიღო და არ დაბეჭდილა. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ბევრმა კოლმეურნემ და მეცნიერმა მუშაკმა პირადად მეც გამომიგზავნა შენიშვნები ზემოაღნიშნული წერილის გამო. შეუძლებელია უყურადღებოდ დავტოვო რომელიმე მათგანი.

შენიშვნების ძირითადი ნაწილი ეხება მიწათსარგებლობის საკითხს. მე ვწერდი: კოლმეურნის ოჯახს კოლმეურნეობაში შრომითი მონაწილეობის მიხედვით მიეცეს იმდენი 0,25 ჰექტარი საკარმიდამო ფართობი, რამდენი მუშახელიც მუშაობს კოლმეურნეობაში და ქმნის დაწესებული ნორმადღეების მინიმუმს, მაგრამ არა უმეტეს ერთი ჰექტარისა.

როცა წავიკითხე სოფელ ზემო მაჩხაანის (წითელწყაროს რაიონი) კოლმეურნეობის თავმჯდომარის ამხ. ნ. მამაიაშვილის, სანიორის კოლმეურნეობის (თელავის რაიონი) თავმჯდომარის ა. მარგალიტაშვილის წერილები გაზეთ „კომუნისტში" და გავეცანი ბევრი სხვა ამხანაგის შენიშვნებს, იმ დასკვნამდე მივედი, რომ სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალი წესდების პროექტის შემუშავების დროს საკმარისი არ არის ამოსავალ პუნქტად მივიღოთ რომელიმე ერთი კოლმეურნეობის ან რაიონის ბუნებრივ-ეკონომიური, ზონალური პირობები, არამედ მხედველობაში უნდა მივიღოთ სოფლის მეურნეობის თავისებურებანი რესპუბლიკისა და კავშირის მასშტაბით. ამასთან ერთად უთუოდ საჭირო იყო გაგვეთვალისწინებინა ისიც, რომ მიწათმოწყობის ხშირი ცვალებადობა (კომლის შემადგენლობაში ცვლილებებთან — დაქორწინებასთან, შობადობასთან, უბედურ შემთხვევებთან დაკავშირებით) დაუსრულებელ სიძნელეებს გამოიწვევდა.

ამ საკითხებზე საუბარი მქონდა ჩვენი სოფლის გამოცდილ კოლმეურნეებთან, იმათთან, რომლებსაც ჩემთან ერთად მთელი 30 წელიწადი უშრომიათ საკოლმეურნეო მშენებლობის აღმავლობისათვის, აგრეთვე მეცნიერ მუშაკებთან და ეკონომისტებთან. ყველამ ერთად უფრო კონკრეტულად და ზუსტად გამოვიანგარიშეთ, რამდენ დროსა და ენერგიას დახარჯავს კოლმეურნე საკარმიდამო ნაკვეთზე მუშაობის დროს, და იმ დასკვნამდე მივედით, რომ საკარმიდამო ნაკვეთი უნდა მიეცეს კომლს, მაგრამ არა 0,4 ჰექტარი, როგორც ამას ამხ. ნ. მამაიაშვილი წერს, არამედ 0,5 ჰექტარამდე.

როგორი უნდა იყოს საკოლმეურნეო წესდება?

ამრიგად, წინა წერილში ჩემ მიერ გამოთქმული აზრი საკარმიდამო ნაკვეთის შესახებ მინდა გავასწორო ასეთი რედაქციით: ყველა კოლმეურნე მთელი ენერგიით უნდა იბრძოდეს იმისათვის, რომ საზოგადოებრივი მეურნეობა გადავაქციოთ შემოსავლის ძირითად წყაროდ. ამასთან კოლმეურნემ უნდა ისარგებლოს თვითეული საკოლმეურნეო კომლისათვის პირად სარგებლობაში გამოყოფილი საკარმიდამო ნაკვეთით 0,5 ჰექტარამდე. პირადი დამხმარე მეურნეობაც, როგორც ეს სამართლიანად არის აღნიშნული სკკპ XXIII ყრილობის დირექტივების პროექტში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966-1970 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ — სოფლის მოსახლეობის შემოსავლის ერთ-ერთი წყაროც უნდა იყოს.

საკოლმეურნეო კომლთა საკარმიდამო მიწების ოდენობა უნდა დაწესდეს კოლმეურნეობის კომლთა შრომისუნარიანი წევრების რაოდენობისა და საზოგადოებრივ მეურნეობაში მათი შრომითი მონაწილეობის გათვალისწინებით, კომლზე 0,5 ჰექტარის ფარგლებში.

საკოლმეურნეო კომლის გაყოფისას გაიყოს მისი საკარმიდამო მიწა. მაგრამ თუ კომლის საკარმიდამო მიწის ფართობი არ აღემატება 0,25 ჰექტარს, მაშინ ახალგამოყოფილ კომლს კოლმეურნეობის საკარმიდამო მიწის ფონდიდან მიეცეს ნაკვეთი, თუ კოლმეურნეობას ამის საშუალება აქვს, მაგრამ არაუმეტეს 0,25 — ჰექტარისა.

ღრმა მოხუც კოლმეურნეებს — 60 წლისაზე უხნეს მამაკაცებს და 55 წელზე უხნეს ქალებს, მათ შორის პენსიონერებს, რომლებიც თავიანთი ფიზიკური შესაძლებლობის შესაბამისად მონაწილეობენ საზოგადოებრივ შრომაში, აგრეთვე მოხუცებსა და ინვალიდებს, რომლებმაც შრომის უნარი დაკარგეს, საკარმიდამო მიწა შეუნარჩუნდეთ იმ ფარგლებში, რაც მათ ჰქონდათ.

სოფლად მყოფ მუშა-მოსამსახურეთა ოჯახის წევრებს, რომლებიც მუშაობენ კოლმეურნეობაში, ქმნიან შრომადღეების სავალდებულო მინიმუმს, საკარმიდამო ფართობი უნდა გამოეყოთ ისევე, როგორც დანარჩენ კოლმეურნეებს. რაც შეეხება არსებული კანონის ფარგლებში — ერთი კომლისათვის საკარმიდამოდ 0,15 ჰექტარის გამოყოფას — ასეთი უნდა მიეცეს იმ მუშა-მოსამსახურეებს, რომლებიც სოფლად ცხოვრობენ. ხოლო მუშა-მოსამსახურეებისათვის, რომლებმაც გაწყვიტეს კავშირი სოფელთან, საკარმიდამო ნაკვეთების გამოყოფა შეუძლებლად მიგვაჩნია, რადგან ასეთი მიწის ფონდის გამონახვის საშუალება კოლმეურნეობას არ ექნება.

ჩვენი წერილის მეორე საკითხი, რომელმაც აგრეთვე აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, ის არის, თუ რამდენი პირუტყვი უნდა ჰყავდეს კოლმეურნეს პირად სარგებლობაში.

როცა მე ვწერდი, კოლმეურნეს მსხვილფეხა პირუტყვი გაუსაზღვრელი რაოდენობით უნდა ჰყავდესო, მაშინაც ჩვენი კოლმეურნეობის შესაძლებლობიდან გამოვდიოდი. მაგალითად, ჩვენთან წარმოუდგენელია კოლმეურნეს ჰყავდეს ორზე მეტი ძროხა. საკვები ბაზა, საძოვრები მეტი მსხვილფეხა პირუტყვის ყოლის საშუალებას არ იძლევა. ახლა რომ ვუკვირდები, ამ შემთხვევაშიც არ გამოდგა მხოლოდ ჩვენი კოლმეურნეობის მაგალითი.

რესპუბლიკის სხვადასხვა კოლმეურნეობებისა და ჩვენი კოლმეურნეობის მაგალითზე შემიძლია ვთქვა, რომ კოლმეურნეთა საკმაო ნაწილს ერთი ძროხაც არა ჰყავს. ჩემი აზრით, საჭიროა ყველა კოლმეურნეს ჰყავდეს ერთი ძროხა მაინც, რაც უთუოდ შეუწყობს ხელს მეცხოველეობის პროდუქტების სიუხვის შექმნას.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ პარტიისა და საბჭოთა მთავრობის შეუნელებელი ზრუნვის შედეგად ახლა სოფლად საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარების საქმე კარგად მიდის. ამიტომ იყო, რომ მოსახლეობა განთავისუფლდა რძის ჩაბარებისაგან. მალე მოსახლეობაში ხორცისა და კვერცხის დამზადებაზეც უარს ვიტყვით, ვინაიდან ამ პროდუქტებზე ჩვენი ქვეყნის მზარდ მოთხოვნილებას საზოგადოებრივი მეცხოველეობა და მეფრინველეობა სრულად დააკმაყოფილებს.

ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია: თვითეულ საკოლმეურნეო კომლს ნება დაერთოს პირად საკუთრებაში იყოლიოს ერთი-ორი ძროხა ან ფურკამეჩი (მხედველობაში მისაღებია ადგილობრივი პირობები), სამ წლამდე ასაკის ორი სული მოზარდეული, ათ სულამდე ცხვარი და თხა ექვს თვემდე ასაკის ნამატით, ორი დედალორი ექვს თვემდე ასაკის ნამატით, ოცამდე სკა ფუტკარი და ფრინველი განუსაზღვრელი რაოდენობით.

კომლისათვის მსხვილფეხა პირუტყვის განსაზღვრა ზემოაღნიშნული წესის ფარგლებში უნდა მოხდეს კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების დადგენილებით, რაც შეტანილ უნდა იქნას კოლმეურნეობის შინაგანაწესში.

ასეთია ჩემი ზოგიერთი მოსაზრება. ამ დასკვნამდე მიმიყვანა საკოლმეურნეო ცხოვრების, ჩვენი კოლმეურნეობის მუშაობის ღრმა ანალიზმა, საკოლმეურნეო ცხოვრების დიდმა სიყვარულმა.

როგორც ცნობილია სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა შექმნა კომისია, რომელსაც დაევალა შეისწავლოს წინადადებანი სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების გამო. უდავოა, ეს კომისია ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ კოლმეურნეთა მესამე ყრილობას წარუდგინოს ყოველმხრივ გამართული სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების პროექტი.

ბუნებრივია ყოველი კარგი წინადადება ახალი წესდების პროექტის განხილვის დროს სასარგებლო იქნება და კომისიის წევრთა დამსახურებულ ყურადღებას მიიპყრობს.

საერთაშორისო ცხოვრება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგობრობის ხელშეკრულება

სოფია, 17 მარტი. საქდესის კორესპონდენტი დ. ბოჩაროვი გვატყობინებს:

ბულგარელი ხალხი როგორც დიდ დღესასწაულს, ისე აღნიშნავს ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების 18 წლისთავს. ამ ხელშეკრულებამ, რომელიც 1948 წლის 18 მარტს დაიდო, სამუდამოდ განამტკიცა ორი მოძმე ხალხის დიდი ხნის მეგობრობა, ახალი სოციალისტური შინაარსით გაამდიდრა იგი. საბჭოთა კავშირის უანგარო დახმარებითა და მხარდაჭერით სახალხო ბულგარეთმა წარმატებით აღმოფხვრა საუკუნოებრივი ეკონომიური ჩამორჩენა, შექმნა თანამედროვე ინდუსტრია და განვითარებული სოციალისტური სოფლის მეურნეობა.

განვლილი 18 წლის მანძილზე სსრ კავშირის ტექნიკური დახმარებით ბულგარეთში აშენდა 90-მდე სამრეწველო ობიექტი. ამან ხელი შეუწყო შავი და ფერადი მეტალურგიის, ქიმიური და ნავთობის მრეწველობის, მანქანათმშენებლობის, მძლავრი ენერგეტიკული ბაზის შექმნას ბულგარეთში. ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის შეთანხმებათა შესაბამისად უახლოეს წლებში აშენდება კიდევ 60 მსხვილი საწარმო.

ბულგარეთის საწარმოებში და სამშენებლო ობიექტებზე მუშაობს ასობით საბჭოთა სპეციალისტი. ორ ქვეყანას შორის წარმოებს მეცნიერულ-ტექნიკური დოკუმენტაციის ფართო გაცვლა, ბევრი ბულგარელი სპეციალისტი საწარმოო სწავლებას გადის საბჭოთა კავშირში.

დიდ წარმატებებს მიაღწია ბულგარეთმა სოფლის მეურნეობის განვითარებაში. 1934-1938 წლებთან შედარებით სასოფლო-სამეურნეო წარმოება ერთიორად გადიდდა. 980 გამსხვილებული შრომითი კოოპერაციული სამიწათმოქმედო მეურნეობისა და 85 სახელმწიფო მეურნეობის განკარგულებაშია 70 ათასი ტრაქტორი, 13 ათასი კომბაინი და ბევრი სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა.

დიდი აღმავლობის გზაზეა ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის ვაჭრობა. ბულგარეთის საგარეო ვაჭრობის ბრუნვის 53 პროცენტი საბჭოთა კავშირზე მოდის. საბჭოთა კავშირი ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკას აწვდის სხვადასხვა მანქანას, მოწყობილობას, შავ ლითონებს, ნაგლინს, ნავთობს, ბამბასა და ბევრ სხვა საქონელს. თავის მხრივ, ბულგარეთს სსრ კავშირში გააქვს ელექტროკარები, ელექტრომოტორები, გემები, ფერადი ლითონები, აგრეთვე სოფლის მეურნეობის პროდუქცია: ყურძენი, ახალი და დაკონსერვებული ხილი და ბოსტნეული, ღვინო, თამბაქო, დაკლული ფრინველი, ბრინზა, კვერცხი.

1966-1970 წლების გრძელვადიანი სავაჭრო შეთანხმება, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ დაიდო, ითვალისწინებს საქონელბრუნვის შემდგომ ზრდას ორ ქვეყანას შორის.

ჩვენი ქვეყნების ძმური თანამშრომლობა ჭეშმარიტად ყოვლისმომცველი გახდა. მათ შორის მტკიცე კავშირი დამყარდა არა მარტო ეკონომიკის დარგში, არამედ მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების დარგშიც. ორივე ქვეყნის მთავრობები ახორციელებენ თანამიმდევრულ მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას.

აღნიშნავენ რა ხელშეკრულების 18 წლისთავს, საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის ხალხები კვლავ ცხადყოფენ, რომ მხურვალედ ესწრაფვიან ძმური მეგობრობის კიდევ უფრო განმტკიცებას და გადაწყვეტილი აქვთ კვლავაც მხარდამხარ იარონ სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის გზით.

კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გადაწყვეტილება

ჰავანა, 17 მარტი. (საქდესი). გაზეთმა „გრანმამ“ დღეს გამოაქვეყნა კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გადაწყვეტილება, რომ მაიორ ეფიხენიო ამეიხეირასს ჩამოერთვას ყველა წოდება, პოსტი და რწმუნებულება პარტიასა და არმიაში და მიეცეს სამხედრო სამართალში.

გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ ამეიხეირასს მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა „ანტისაზოგადოებრივ და გახრწნილ ელემენტებთან“. ეს ელემენტები „თავიანთი ინტერესებისათვის სარგებლობდნენ ამ მეგობრობით და ხშირად, თითქმის მუდამ მასთან ერთად იყვნენ, რათა ბევრ ოფიციალურ ადგილსა და დაწესებულებაში შესვლის საშუალება ჰქონოდათ“.

იმათ შორის, ვინც ყველაზე ხშირად ნახულობდა ამეიხეირასს და მისი ახლო მეგობარი იყო, არის როლანდო კუბელასი, რომელიც ამას წინათ გაასამართლეს მოღალატური საქმიანობისათვის. მაგრამ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ ამეიხეირასი „აბსოლუტურად არ ყოფილა დაკავშირებული როლანდო კუბელასის შეთქმულებასთან“.

ამეიხეირასის ურთიერთობანი, გარემო, პოზიცია იმათ მიმართ, ვინც ცილს სწამებს რევოლუციას, და მთელი მისი მოქმედება, ხაზს უსვამს პოლიტბიურო, შეუთავსებელია რევოლუციური არმიის მაიორის წოდებასთან, რევოლუციური შეიარაღებული ძალების მინისტრის მოადგილის პოსტთან და განსაკუთრებით პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობასთან.

ასეთი ორიგინალური კონსტრუქციის გოდოლის აშენებას აპირებენ მონრეალში (კანადა), სადაც მომავალ წელს მსოფლიო გამოფენა გაიხსნება. გოდოლში მოთავსდება სასტუმრო, კაფე-რესტორანი და დანსინგი. არაჩვეულებრივი ოტელის ზედა სართულიდან საუცხოო ხედი გადაიშლება.

ფოტო კვისტონ-საქდესისა.

დაძაბული ვითარება

კონაკრი, 17 მარტი. (საქდესი). გვინეის რადიო იტყობინება, რომ დაძაბული მდგომარეობაა გვინეის რესპუბლიკისა და სპილოს ძვლის ნაპირის რესპუბლიკის საზღვარზე. რადიოს ცნობით, სპილოს ძვლის ნაპირის სამხედრო მოსამსახურეთა ჯგუფი 14 მარტს შეეცადა შემოჭრილიყო გვინეის ტერიტორიაზე ნზერეკორეს რაიონში. გვინეელებმა წინააღმდეგობა გაუწიეს საზღვრის დამრღვევთ და აიძულეს ისინი უკან დაეხიათ.

ლონდონი, 17 მარტი. (საქდესი). სპილოს ძვლის ნაპირის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბრძანება გასცა ჯარები გადაიყვანონ გვინეის რესპუბლიკის საზღვართან.

18 სახელმწიფოს კომიტეტში

ჟენევა, 17 მარტი. (საქდესი). 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის დღევანდელ სხდომაზე გამოვიდნენ კანადის წარმომადგენელი ბერნსი და იტალიის დელეგატი კავალეტი. მათ სავსებით დაუჭირეს მხარი ამერიკის შეერთებული შტატების წინადადებებს სამხედრო მიზნებისათვის განკუთვნილ ხლეჩად ნივთიერებათა წარმოების აკრძალვა-სა და ატომური იარაღის მიტანის სტრატეგიულ საშუალებათა წარმოებისა და მოდერნიზაციის „გაყინვის“ შესახებ.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ამერიკის შეერთებული შტატების არც ერთ, არც მეორე წინადადებას მხარს არ უჭერს ჟენევის მოლაპარაკების ბევრი მონაწილე, რომლებსაც ეს წინადადებანი არ მიაჩნიათ განიარაღების ღონისძიებებად.

როგორც აქაური მიმომხილველნი აღნიშნავენ, ეს ღონისძიებანი ვერაფრით ვერ შეცვლიან საყოველთაო და სრული განიარაღების განხორციელების ნამდვილად ეფექტიან ღონისძიებებს. ჟურნალისტთა წრეებში გამოთქვამენ აზრს, რომ დასავლეთის სახელმწიფოები განუწყვეტლივ ღეჭავენ ერთსა და იმავე ძველ წინადადებებს, რითაც მხოლოდ აჭიანურებენ დროს და თავს არიდებენ თანამედროვეობის აქტუალური პრობლემის — საყოველთაო და სრული განიარაღების პრობლემის გადაჭრას.

ეგვიპტე-ერაყის თანამშრომლობა

კაირო, 18 მარტი. (საქდესი). კაიროში დაიწყო არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისა და ერაყის გაერთიანებული პოლიტიკური ხელმძღვანელობის სხდომები. ეგვიპტის დელეგაციას მეთაურობს პრემიერ-მინისტრი მოჰი ედ-დინი, ერაყისას — პრემიერ-მინისტრი ბაზაზი.

როგორც ეგვიპტის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, გუშინდელ სხდომაზე განიხილეს საერთაშორისო, აგრეთვე არაბული პრობლემები და ორი ქვეყნის ურთიერთობა.

კაიროს თათბირი

კაირო, 17 მარტი. (საქდესი). დღეს მუშაობა დაამთავრა არაბული ქვეყნების მთავრობათა მეთაურების თათბირმა, რომელიც კაიროში მიმდინარეობდა 14 მარტიდან.

თათბირის დამთავრების შემდეგ გამოქვეყნდა განცხადება, რომელიც მენის სააგენტომ გადასცა. განცხადებაში ნათქვამია, რომ ერთხმად მიღებულია ყველა რეზოლუცია, რომლებიც თათბირის მონაწილეთა განსახილველად იყო წარმოდგენილი.

არაბული ქვეყნების მთავრობათა მეთაურებმა განცხადებაში აღნიშნეს, რომ ერთიან ფრონტად გამოვლენ ყველა იმპერიალისტური ინტრიგის წინააღმდეგ.

თათბირის მონაწილეებმა დაგმეს რეპრესიების, ტერორისა და მასობრივი დაპატიმრების პოლიტიკა, რომელსაც ინგლისის კოლონიური ხელისუფლება ახორციელებს არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთში. ისინი მოითხოვენ შესრულდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციები ადენის შესახებ, რომლებშიც დადასტურებულია ამ რაიონის არაბი მოსახლეობის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის უფლება.

თათბირის მონაწილეებმა მოიწონეს ღონისძიებანი, რომლებიც უნდა განხორციელდეს, რათა შესრულდეს არაბული ქვეყნების გეგმები პოლიტიკურ, სამხედრო, ტექნიკურ, ეკონომიურ და სხვა დარგებში.

აბსურდული პრეტენზიები

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სსრ კავშირის წარმომადგენლის წერილი

ნიუ-იორკი, 18 მარტი. (საქდესი). ამ ბოლო დროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყურადღებას იპყრობს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საერთაშორისო-სამართლებრივი მდგომარეობის საკითხი და ის, თუ რა ადგილი უკავია ორივე გერმანულ სახელმწიფოს საერთაშორისო ურთიერთობის სისტემაში.

ამასთან ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები აკეთებენ განცხადებებს აშკარად იმ მიზნით, რომ ცივი ომის ელემენტები შეიტანონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობაში და გაართულონ განხილვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის განცხადებისა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მისი მიღების შესახებ.

სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ნ. ტ. ფედორენკო ეწვია გენერალურ მდივანს უ ტანს და გადასცა წერილი, რომელშიც ხაზგასმულია, რომ ასეთი განცხადებების ავტორებს, ალბათ, უნდათ სასურველი სინამდვილედ წარმოსახონ.

ორი გერმანული სახელმწიფოს არსებობა უცილობელი ფაქტია, აღნიშნულია სსრ კავშირის წარმომადგენლის წერილში. ის სახელმწიფოებიც კი, რომელთა სახელით ქვეყნდება ამგვარი განცხადებები, იძულებული არიან თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში ანგარიში გაუწიონ ამ ფაქტს. და თუ ჯერ კიდევ არის ცდები, უარყონ საქმის რეალური მდგომარეობა, ეს ნაკარნახევია წმინდა პროპაგანდისტული მიზნებით, რომლებიც უცხოა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინტერესებისათვის.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, როგორც სუვერენული სახელმწიფო, თანამიმდევრულად ახორციელებს ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის უზრუნველყოფას, სხვა სახელმწიფოებთან პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის განვითარების პოლიტიკას. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მტკიცედ იცავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებს. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ავტორიტეტის განუხრელი ზრდა საერთაშორისო ასპარეზზე ცხადყოფს, რომ მიუხედავად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის და დასავლეთის ზოგიერთი სახელმწიფოს უხეში ზემოქმედებისა და შანტაჟისა, სულ უფრო მეტი სუვერენული სახელმწიფო თავის პოლიტიკაში ხელმძღვანელობს იმით, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა საერთაშორისო სამართლის სრულუფლებიანი სუბიექტია, და უარყოფს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის აბსურდულ პრეტენზიებს, გამოდიოდეს მთელი გერმანიის სახელით.

სავსებით ცხადია, რომ ცდები, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია გამოიყენონ ერთი გერმანული სახელმწიფოს მეორესათვის დასაპირისპირებლად, ხელსაყრელია მხოლოდ ევროპის მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების მოწინააღმდეგეთათვის და არსებითად გამოხატავს ნატოს აგრესიული ბლოკის ორგანიზატორთა და სულისჩამდგმელთა საშიშ ხაზს, წაახალისონ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მმართველი წრეების რევანშისტული მისწრაფებანი. ნ. ტ. ფედორენკომ სთხოვა უ ტანს გაავრცელოს ეს წერილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრს შორის.

ვიეტნამში ბინძური ომის ჭაობი, რომელშიც ამერიკის შეერთებული შტატები ჩაეფლნენ, ბევრი კარიკატურის თემა გახდა. აი ერთი მათგანი.

— ყურადღება, ბიჭებო, მაკნამარა ოპტიმიზმს იჩენს.

კარიკატურა გამოქვეყნებულია ამერიკის გაზეთ „ჩიკაგო სან-ტაიმსში“.

— გვიშველეთ! ამერიკული მშვიდობის მტრედი მოფრინავს!

ნახატი შვედურ გაზეთ „სტოკჰოლმს-ტიდნინგენიდან“.

ჩამოგდებულია ამერიკის 909-ე თვითმფრინავი

ჰანოი, 17 მარტი. (საქდესი). ვიეტნამის სახალხო არმიის მეზენიტეებმა გუშინ ჩამოაგდეს ამერიკის კიდევ ერთი თვითმფრინავი დიენბიენფუს რაიონში, იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო.

ამრიგად, ჩრდილოეთ ვიეტნამის ტერიტორიაზე ჩამოგდებული ამერიკის თვითმფრინავების რიცხვმა 909-ს მიაღწია.

პენტაგონის სამხედრო სამზადისი

ვაშინგტონი, 17 მარტი. (საქდესი). ამ კვირაში ფანრანგში (სამხრეთ ვიეტნამი) პენტაგონმა მწყობრში ჩააყენა სათვალავით მეექვსე აეროდრომი, რომელიც საბრძოლო რეაქტიული თვითმფრინავებისათვის არის განკუთვნილი. აეროდრომს აქვს სამ კილომეტრზე მეტი სიგრძის ალუმინის ასაფრენი ზოლი. ახალ აეროდრომზე ჰოლ-ლომენის (ნიუ-მექსიკოს შტატი) საავიაციო ბაზიდან გადაყვანილია „ფანტომის“ ავიაგამანადგურებელთა ესკადრილია. როგორც გაზეთები იუწყებიან, პენტაგონი გეგმავს მალე დაიწყოს რეაქტიული თვითმფრინავების მეშვიდე ბაზის მშენებლობა ტუიჰოაში, რომელიც 125 მილზე მდებარეობს ფანრანგის ჩრდილოეთით. რეაქტიული თვითმფრინავების აეროდრომების გარდა, ამერიკის შეერთებულ შტატებს აქვთ დაახლოებით ორი ათეული სხვა საავიაციო ბაზები სამხრეთ ვიეტნამში.

ამავე დროს პენტაგონი აპირებს განალაგოს კიდევ 2.005 ვერტმფრენავის, 906 თვითმფრინავის მშენებლობის, 1,7 მილიონი ბომბის, სასროლი იარაღის ერთი მილიარდი კომპლექტი, საომარი მასალების წარმოების შეკვეთები.

უთანხმოებანი ნატოში

ბონი, 17 მარტი (საქდესი). დასავლეთ გერმანიის პრესა აღნიშნავს ნატოს ღრმა შინაგან კრიზისს, რომელიც კვლავ გამწვავდა იმის გამო, რომ საფრანგეთის მთავრობამ წამოაყენა წინადადებანი ამ სამხედრო ბლოკის „რეფორმის“ შესახებ. როგორც დღის გაზეთი „გენერალ-ანცაიგერი“ წერს, ამ ბოლო დღეებში ფაქტიურად გათიშვა მოხდა „ნატოს მდგომარეობის“ საკითხის განხილვის დროს, რომელშიც მონაწილეობდნენ ამ ბლოკის მონაწილე 14 სახელმწიფოს წარმომადგენელნი. მაშინ, როცა ინგლისი, რომელიც უმრავლესობას მეთაურობს, აცხადებს გაზეთი, ცდილობს დაგმოს საფრანგეთის პოზიცია, მეორე ჯგუფი იმის მომხრეა, რომ უფრო მეტი თავშეკავება გამოიჩინონ საფრანგეთის მოქმედების შეფასებისას. კერძოდ, ნორვეგიისა და დანიის პოზიცია, აღნიშნავს გაზეთი „ფრანკფურტერ რუნდშაუ“, მნიშვნელოვნად განსხვავდება „ნატოს წამყვან სახელმწიფოთა“ პოზიციისაგან.

როგორც დასავლეთ გერმანიის პრესა აღნიშნავს, ბონის მთავრობაში არ არის აგრეთვე ერთსულოვნება საფრანგეთის მთავრობის საგარეო-პოლიტიკური ღონისძიებებისადმი დამოკიდებულების საკითხში.

იგივე „გენერალ-ანცაიგერის“ ცნობით, ამჟამად კანცლერი ერჰარდი და საგარეო საქმეთა მინისტრი შრედერი წინააღმდეგი არიან პარიზთან ორმხრივი მოლაპარაკებისა, რომლის მიზანია განიხილოს საფრანგეთის წინადადებანი ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის „ახალი სტრუქტურის“ შესახებ. მაგრამ ამ პოზიციას გმობენ ქრისტიანულ - დემოკრატიული კავშირის პარტიის თავმჯდომარე ადენაუერი და ყოფილი სამხედრო მინისტრი შტრაუსი, რომელთა აზრით მოლაპარაკება „ნატოს მომავლის“ შესახებ რაც შეიძლება მალე უნდა მოეწყოს ბონსა და პარიზს შორის.

წყალდიდობა არგენტინაში

ნიუ-იორკი, 18 მარტი. (საქდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, არგენტინაში მომხდარი ამ საუკუნის ყველაზე დიდი წყალდიდობა ბუენოს-აირესის პროვინციასაც მოედო. წყალდიდობა უახლოვდება არგენტინის დედაქალაქს და უკან იტოვებს 100 მილი სიგანის გავერანებულ ზოლს.

ადიდებული მდინარე პარანი დაიძრა პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში და წალეკა გზატკეცილები და რკინიგზები.

წყალდიდობამ უკვე უზარმაზარი ზარალი მიაყენა არგენტინის ექვს პროვინციას: წალეკა სამდინარო ნავსადგურები, ცხოვრება პარალიზებულია ფორმოსის, მისიონესის, ჩაკოს, კორიენტესის, ენტრერიოსისა და სანტა-ფეს პროვინციებში. ქალაქ სანტა-ფედან, სადაც 200.000 კაცი ცხოვრობს, ევაკუირებულია 30.000-ზე მეტი. თვითონ ქალაქი წყლით არის გარშემორტყმული. დატბორილია არგენტინის მეორე ქალაქის როსარიოს დაბლობი რაიონები, სადაც 500.000 მცხოვრებია.

არაოფიციალური მონაცემებით, წყალდიდობით დაზარალებულ რაიონებში უსახლკაროდ დარჩა 200.000 მეტი კაცი და 12 კაცი დაიხრჩო. გარდა ამისა წყალდიდობამ გამოიწვია ყვითელი ციების ეპიდემია, რომლის შედეგად დაიღუპა 13 კაცი. წყალდიდობამ გაანადგურა მოსავალი, დაიღუპა 200.000 სული პირუტყვი.

აგრესორთა დასახმარებლად

ლონდონი, 18 მარტი. (საქდესი). სამხრეთ კორეის ეროვნული კრების თავდაცვის საქმეთა კომისიამ დღეს მოიწონა „მთავრობის გეგმა“, რომ სამხრეთ ვიეტნამში გაიგზავნოს 20 ათასზე მეტი ჯარისკაცი, იტყობინება როიტერის სააგენტოს კორესპონდენტი სეულიდან.

„ტრიბუნა ლუდუ“ პოლონელ ეპისკოპოსთა საქმიანობის შესახებ

ვარშავა, 18 მარტი. (საქდესი). პოლონელ ეპისკოპოსთა ექსკურსი საგარეო პოლიტიკის დარგში სრული კრახით დამთავრდა, წერს გაზეთი „ტრიბუნა ლუდუ“ სარედაქციო სტატიაში, რომელიც მიეძღვნა პოლონეთის კათოლიკური იერარქიის საქმიანობას.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კომუნისტთა ორგანომ კვლავ გაახსენა მკითხველებს პოლონელ ეპისკოპოსთა ჯგუფის ყბადაღებული წერილი დასავლეთ გერმანიის ეპისკოპოსებისადმი. წერილში გამოთქმული იყო შეხედულებანი, რომლებიც ეწინააღმდეგება სახალხო პოლონეთის საგარეოპოლიტიკურ ხაზს. ახლა ეპისკოპოსები, რომლებიც პოლონეთის საზოგადოებრიობის უდიდეს აღშფოთებას წააწყდნენ, ცდილობენ თავი იმართლონ მორწმუნეთა წინაშე და თუნდაც ნაწილობრივ მოსპონ უფსკრული გერმანიის პრობლემაზე თავიანთ პოზიციასა და პოლონელთა დიდი უმრავლესობის აზრს შორის. 6 მარტს პოლონეთის ეკლესიებში წაიკითხეს პოლონეთის ეპისკოპატის წერილი, რომელიც, როგორც გაზეთი წერს, ცხადყოფს, რომ ეპისკოპოსები პრეტენზიას აღარ აცხადებენ იყვნენ „ხალხის პოლიტიკური ხელმძღვანელები“. ამავე დროს „ტრიბუნა ლუდუ“ აღნიშნავს, რომ მორწმუნეთა წინაშე ასეთი თავის მართლებით საკითხი ჯერ არ ამოწურულა. ეყოფა თუ არა ეპისკოპატს გამბედაობა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკლესიის მოღვაწეებსაც განუცხადოს, რომ ცნობს ორი გერმანული სახელმწიფოს არსებობის ფაქტს, ცნობს, რომ პოლონეთის ოდერნეისეს საზღვარი საბოლოო და ურღვევია?

დასასრულ გაზეთი აღნიშნავს, როგორც ჩანს ეპისკოპოსები უკვე თვითონვე მიხვდნენ, რომ ჩაიფუშა მათი უხეში პოლიტიკური აქცია. საჭიროა, ნათქვამია სტატიაში, რომ მათ აქედან სწორი დასკვნა გამოიტანონ.

სხვადასხვა მერიდიანზე

△ ბოგოტა, 17 მარტი. (საქდესი). 8 მილიონი დოლარის 42 ათასზე მეტი ტომარა ყავა კოლუმბიიდან არუბის კუნძულის გავლით კონტრაბანდად ჩაიტანეს ამერიკის შეერთებულ შტატებში, იუწყება კოლუმბიის გაზეთი „ექსპექტადორი“.

ამდენი ყავა გადაზიდული იყო მიმდინარე წლის მხოლოდ პირველ ორ თვეში. არუბიდან კონტრაბანდული ყავა ნიუ-იორკში ჩააქვთ ამერიკის კომპანია „გრეის სტიმშიპ ლაინის“ გემებით.

△ ლონდონი, 17 მარტი (საქდესი). ინგლისის მრეწველობა მთელი წელია ერთ ადგილს ტკეპნის. როგორც აქ გამოქვეყნებული მონაცემები მოწმობენ ინგლისის სამრეწველო წარმოების ინდექსი მიმდინარე წლის იანვარში შეადგენდა 131 პუნქტს, მაშინ როცა 1964 წლის დამლევს შეადგენდა 128.2 პუნქტს. (ას პუნქტად მიღებულია 1958 წლის დონე).

△ ჰანოი, 18 მარტი. (საქდესი). ვიეტნამის ხალხი მკაცრად გმობს ინდონეზიის რეაქციის მოქმედებას და მოითხოვს დაუყოვნებლივ შეწყდეს რეპრესიები ინდონეზიელი ხალხის წინააღმდეგ, ინდონეზიელი კომუნისტების წინააღმდეგ. წერს დღეს გაზეთი „ნიან ზანი“ ინდონეზიაში რეაქციის თარეშთან დაკავშირებით.

ვიეტნამელი ხალხი, აღნიშნავს გაზეთი, ინდონეზიელ ხალხთან დაკავშირებულია მეგობრობისა და სოლიდარობის მჭიდრო ურთიერთობით და დიდად არის შეშფოთებული იმ სერიოზული მდგომარეობის გამო, რომელიც ინდონეზიაში შეიქმნა ინდონეზიის რეაქციის ხრიკებთან დაკავშირებით.

△ ბოგოტა, 18 მარტი. (საქდესი). კოლუმბიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურმა მდივანმა ჰილბერტო ვიეირამ ბოგოტის ერთ-ერთ თეატრში გამართულ კრებაზე მოუწოდა ხალხს პარლამენტის მომავალ არჩევნებში, რომელიც მარტში გაიმართება, ხმა მისცეს ლიბერალურ-რევოლუციური მოძრაობის პარტიის სიებს.

△ ტოკიო, 18 მარტი. საქდესის კორესპონდენტი ვ. დროზდოვი გვატყობინებს: ნარკოტიკების გაყიდვისათვის დააპატიმრეს „მისავის“ ბაზაში განლაგებული ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების ავიაბაზის 9 ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე. როგორც წინასწარმა გამოძიებამ დაადგინა, ნარკოტიკები იაპონიაში შემოჰქონდათ ამერიკელ სამხედრო მფრინავებს — ვიეტნამის ომის მონაწილეებს.

ვეტეროკი და უგოლიოკი შინ დაბრუნდნენ

ვეტეროკი პირველი განთავისუფლდა სადენების, შლანგებისა და გადამწოდების ტყვეობისაგან. ტკბილად დაამთქნარა, ტუჩები მოილოკა — იცნო თეთრი ხალათები. კოსმოსში სამი კვირის მოგზაურობის დროს მისი მეგობარი უგოლიოკი კი, შეიძლება ითქვას, ჯერ კიდევ განაგრძობდა ექსპერიმენტს. ექიმმა კოსმონავტმა ბორის ეგოროვმა და სხვა ექიმებისა და ლაბორანტების ჯგუფმა, რომლებიც ცხოველთა მიღების ოპერაციას აწარმოებენ, გადამწოდები ჩართეს აპარატურაში, ჩქარობენ ჩაიწერონ ზუსტი მონაცემები, თუ როგორ გრძნობენ თავს ძაღლები. და აი „ანგარიშს აბარებს“ უგოლიოკი. მას უკვე მობეზრდა ჩულო.

ექიმები, ლაბორანტები, ტექნიკოსები, რომლებმაც ხელსაწყოთა ჩანაწერები შეაფასეს, იღიმებიან, ერთმანეთს ულოცავენ გამარჯვებას. ვეტეროკი და უგოლიოკი თავს კარგად გრძნობენ, მაგრამ ჯერ უნდა დაისვენონ. მათთვის უკვე გამოყოფილია ცალკე ბინა. ყოველ მათგანს თავისი პატარა ოთახი აქვს, კარებზე წარწერილია: „ვეტეროკი“, „უგოლიოკი“. ასეთივე წარწერებია ტაშტებზეც, რომლებშიც ალბათ, მალე მიიღებენ აბაზანას.

ბორის ეგოროვმა ის იყო დაიბანა ხელი მოგზაურთა პირველი შემოწმების შემდეგ, რომ შეხვედრის დამსწრე ჟურნალისტებმა სახელდახელო პატარა პრესკონფერენციაზე მიიწვიეს.

პირველი კითხვა: რას ამბობენ ხელსაწყოები, როგორ გრძნობენ თავს კოსმოსური მოგზაურები?

პირველი ოპერაცია, რომელიც დღეს განვახორციელეთ, ამბობს ეგოროვი, იყო კონტეინერების გარეგანი შემოწმება. ჩვენი მეგობრები შინ, მოსკოვში იმავე კონტეინერებით დაბრუნდნენ, რომლებშიც ხომალდში ცხოვრობდნენ. გავხსენით კონტეინერები, გავსინჯეთ ტანსაცმელი, გადამწოდების მდგომარეობა. მეტად საინტერესო იყო, თუ როგორ დგამდნენ პირველ ნაბიჯებს ძაღლები უწონობის სამი კვირის სეანსის შემდეგ.

შემდეგ, განაგრძო ბ. ეგოროვმა, ჩვენ ყოველმხრივ შევამოწმებთ ფრენის გმირებს. განსაკუთრებით გვაინტერესებს მათი გულის სისხლძარღვების სისტემის, ცენტრალური ნერვული სისტემის მდგომარეობა.

ჯერჯერობით ძნელია ვილაპარაკოთ ექსპერიმენტის საბოლოო შედეგებზე, თქვა ეგოროვმა. ცხადია ერთი რამ — ექსპერიმენტი გამოგვივიდა და ეს ჩვენი მეცნიერების, ინჟინრების, ექიმების დიდი გამარჯვებაა. პირველივე დაკვირვებანი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ შესაძლებელია ცოცხალი ორგანიზმის დიდხანს ყოფნა უწონობის პირობებში.

კითხვა: გვითხარით, გავლენას მოახდენს თუ არა ცხოველებზე ის ფაქტი, რომ დაფრინავდნენ ჯერ კიდევ უკვლევი და უაღრესად საშიში კოსმოსური ბილიკებით — რადიაციის სარტყლების რაიონში?

პასუხი: თანამგზავრი „კოსმოსი-110“ ნამდვილად ეხებოდა რადიაციულ სარტყელს. დედამიწაზე გადმოცემული მონაცემები დასამუშავებელია, ყოველ შემთხვევაში, ერთი შეხედვით არავითარი დარღვევა არ მომხდარა.

კითხვა: როგორია, თქვენი აზრით, დღეს გადაღებული ძაღლების ელექტროკარდიოგრამა?

პასუხი: იგი კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. პათოლოგიური ცვლილებანი არ მომხდარა. ჩვენ შევადარებთ ამ სპექტრს თანამგზავრიდან მიღებულს და მაშინ გამოვიტანთ დასკვნებს...

კორესპონდენტებს აინტერესებთ, ხომ არ ყოფილა ფრენის დროს რაიმე მოულოდნელი შემთხვევა.

უსიამოვნო არაფერი ყოფილა, უპასუხა ეგოროვმა. იყო ერთი, მაგრამ მეტად სასიამოვნო სიურპრიზი — ეს არის პირველი ცნობა იმის შესახებ, რომ ძაღლები შინ არიან, რომ ისინი ჯანმრთელად არიან, მთავარი სასიამოვნო სიურპრიზები კი კვლავ მოგველის. იმედი მაქვს, ისინი მოგველის ფრენის მონაცემების შესწავლის დროს.

კითხვა: იცნეს თუ არა ვეტეროკმა და უგოლიოკმა თავიანთი პატრონები — ექიმები და ლაბორანტები?

პასუხი: ვფიქრობ, რომ ჯერჯერობით არ უცვნიათ. მაგრამ იცნობენ ცოტა მოგვიანებით, როცა წავლენ უცხონი.

ჟურნალისტებს აინტერესებთ, რამდენად შეიძლება ძაღლების მიმართ წარმოებული ექსპერიმეტის შედეგები გავითვალისწინოთ კოსმონავტთა შემდგომი ფრენის დროს.

რა თქმა უნდა, ცხოველის ორგანიზმი, თქვა კოსმონავტმა ექიმმა, ძირეულად განსხვავდება ადამიანის ორგანიზმისაგან. მაგრამ მათ აქვთ ბევრი საერთო ფუნქცია, რომლებსაც ვუძღვნით განსაკუთრებულ ყურადღებას ექსპერიმენტის დროს.

ჟურნალისტთა თხოვნით ექიმმა სერგი ნიკოლაევმა, რომელიც ერთ-ერთი პირველი შეხვდა ცხოველებს დაშვების ადგილას, უამბო მათ ამ საინტერესო მომენტის შესახებ.

ჩვენ ვერტმფრენავით შევხვდით ვეტეროკსა და უგოლიოკს, თქვა მან. საკმაოდ სწრაფად ვიპოვეთ ეგრეთ წოდებული დასაშვები აპარატი. იგი მთელი იყო. მოხერხდა ნარნარად დაჯდომა. გავხსენით ლუკი, დავრწმუნდით, რომ ძაღლები უვნებელი იყვნენ. კაშკაშა სინათლესა და ადამიანებს გადაჩვეული მათი თვალები აკიაფდა მზეზე. ჯერ მოვხსენით ვეტეროკის კონტეინერი, და კიდევაც მოგვეჩვენა, თითქოს ძაღლმა გაიღიმა, როცა იგრძნო ჰაერსალებით კონტეინერში შესული ნამდვილი დედამიწის ჟანგბადი.

უგოლიოკიც მხიარულად იყო. ისინი ჩავსვით ვერტმფრენავში, შემდეგ კვლავ მოგველოდა მოგზაურობა თვითმფრინავით. მოსკოვში გმირები პატარა მიკროავტობუსით „რაფით“ მოგვყავდა. და მიუხედავად იმისა, რომ გზატკეცილის პირას მათ არ ხვდებოდნენ მოსკოველები, ძაღლებმა იცოდნენ, რომ მოელიან, მოუთმენლად მოელიან ექიმები, ლაბორანტები, ტექნიკოსები — მათი თეთრხალათიანი მეგობრები.

ნ. ჟელეზნოვი,
(საქდესის კორ.).

ვეტეროკი და უგოლიოკი მოსკოვში

თანამგზავრ „კოსმოს-110“-ით განხორციელებული უნიკალური ექსპერიმენტის გმირები ძაღლები ვეტეროკი და უგოლიოკი, რომლებმაც სამ კვირას იმოგზაურეს კოსმოსში, დღეს დედამიწაზე დაშვების ადგილიდან ჩამოიყვანეს მოსკოვში. ძაღლები თავს კარგად გრძნობენ და სწრაფად შეეჩვევიან ახალ ადგილს. (საქდესი).

ვეტეროკი.

უგოლიოკი.

მარულა

კარლ შტიტცერი.

ახალგაზრდა მწერალმა რედაქციისაგან დავალება მიიღო — მხატვრული რეპორტაჟი მოემზადებინა ერთ-ერთი ახალმშენებლობიდან. განზრახული იყო მთავარ ქუჩაზე რამდენიმე ახალი სახლის აგება, რომელთა მშენებლობას თანმიმდევრობით უნდა შესდგომოდნენ. რეპორტაჟი უნდა დაწყებულიყო მშენებლობის პირველი ეტაპით — საძირკვლის ჩაყრით. ახალგაზრდა მწერლისათვის ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დავალება იყო, და ისიც მთელი გატაცებით შეუდგა საქმეს. თავის ნამუშევარში საქმისადმი დიდი სიყვარული და პუბლიცისტური ფანტაზია ჩააქსოვა. რეპორტაჟზე მუშაობა დაამთავრა თუ არა, მწერალი რედაქტორის კაბინეტში გაჩნდა.

— რეპორტაჟი საინტერესოდ არის დაწერილი, — თქვა რედაქტორმა, — მაგრამ სამწუხაროდ, ვერ გამოვიყენებთ.

— კი, მაგრამ რატომ?

— იმიტომ რომ უკვე მოძველდა!

— როგორ თუ მოძველდა! მშენებლობაზე გუშინწინ ვიყავი, გუშინ კი რეპორტაჟი დავწერე.

— ...დღეს უკვე მეორე სართულს აშენებენ.

— შეუძლებელია!

— როგორ? დღეს თვითონ ვნახე. მე ხომ ყოველ დილით ჩავუვლი ხოლმე მშენებლობის ობიექტს.

— მაშინ ოდნავ შევცვლი ჩემს რეპორტაჟს და პირველი სართულიდან დავიწყებ.

— ეს ხომ სქემატური გამოვა. ასე არ შეიძლება, ჩემო ახალგაზრდა მეგობარო, ყოველ სართულს თავისი დამახასიათებელი რამ აქვს და თავისი წარმოშობის ისტორია, რომელიც აუცილებლად უნდა აისახოს რეპორტაჟში აღრევა დაუშვებელია. დაიმახსოვრე — საჭიროა მეტი ოპერატიულობა და ამავე დროს მეტი პრინციპულობა მუშაობაში.

გუნებაწამხდარი გამოვიდა მწერალი რედაქტორის კაბინეტიდან, გულში კი ფიქრობდა, რომ რედაქტორი მართალი იყო. გადაწყვიტა ეს შემთხვევა მისთვის მაგალითი ყოფილიყო და შემდგომ მუშაობაში მხედველობაში მიეღო რედაქტორის სამართლიანი რჩევა-დარიგება. გათენდა თუ არა, დანიშნულ ადგილზე გამოცხადდა. მშენებლები უკვე მეორე სართულს აშენებდნენ. იგი გულითადად ესაუბრა მუშებს, მონაწილეობა მიიღო სამშენებლო დისკუსიებში, მთელი დღე მშენებლებთან გაატარა, მხოლოდ საღამოს წავიდა შინ და მთელი ღამე რეპორტაჟზე იმუშავა, რათა მშენებლებისათვის დაესწრო.

მეორე დღეს მწერალი კვლავ რედაქტორის კაბინეტში იჯდა. იგი სიხარულს ვერ მალავდა, რადგან რეპორტაჟის დაწერიდან მხოლოდ რამდენიმე საათი იყო გასული.

რედაქტორი კვლავ საეჭვოდ ათვალიერებდა ნამუშევარს.

— სამწუხაროა, მაგრამ რეპორტაჟს ვერც ამჯერად გამოვიყენებთ, ვინაიდან მშენებლებს უკვე მზად აქვთ მესამე სართული, ერთხელ კიდევ შეეცადე...

ეს უკვე მეტისმეტი იყო. მწერალი საშინლად დაღონდა. ყველა დასცინოდა, სირცხვილით თავი არსად გამოეყოფოდა. მშენებლები ყოველ დილით ათვალიერებდნენ გაზეთებს, მაგრამ ამაოდ ეძებდნენ მათზე დაწერილ რეპორტაჟს. ხომ ხედავთ, არავის არ შეუძლია ისე სწრაფად წეროს, როგორც ჩვენ ვაშენებთო, გაიძახოდნენ ისინი.

საგონებელში ჩავარდნილი მწერალი ამაოდ ცდილობდა დასწეოდა მშენებლებს. ისინი ყოველთვის თითო სართულით უსწრებდნენ. ეს იყო ნამდვილი მარულა. და ასე გაგრძელდა მეათე სართულამდე.

როგორც იყო მშენებლობა დასასრულს მიუახლოვდა. მწერალმაც აღარ დააყოვნა, იმავე ღამეს შეუდგა მუშაობას და დილით უკვე რედაქტორთან გამოცხადდა. რეპორტაჟი მშრალ ქრონიკას როდი ჰგავდა, იგი ნათელ წარმოდგენას იძლეოდა მშენებლობის ცალკეულ ნიუანსებზე, ანალიზს უკეთებდა თვითეულ სამშენებლო ობიექტს და საბოლოოდ მაღალ შეფასებას აძლევდა მშენებლეთა თავდადებულ შრომას.

რედაქტორი კმაყოფილი დარჩა და შეპირდა, რეპორტაჟი აუცილებლად დაიბეჭდება მორიგ ნომერშიო.

— აი ეს არის რეალიზმი, ეს არის ტემპი, ოპერატიულობა, ჩემო მეგობარო! — უთხრა რედაქტორმა მწერალს და მეგობრულად მხარზე ხელი დაჰკრა.

და მაინც რეპორტაჟის გამოქვეყნებას თითქმის ოთხი კვირა დასჭირდა, გაკვირვებული მწერალი იძულებული გახდა რედაქტორთან გამოცხადებულიყო.

— ეჰ, რას იზამ, ჩემო მეგობარო, ყველაფერი არც ისე ადვილია, — უთხრა რედაქტორმა. — ეს ქაღალდის ნაკლებობაა, ეს გეგმის შეუსრულებლობაა, და ბოლოს უამრავი ოფიციალური მასალა, რაც შენთვის სავსებით გასაგებია.

— გასაგებია, მაგრამ ჩემს რეპორტაჟს რომ საშიშროება ელის? ის ხომ ყოველდღიურად ძველდება!

— მაგის ნუ გეშინია, ჩემო მეგობარო. კორექტურის დროს შევასწორებთ ციფრებს. შევცვლით მშენებელთა გვარებს და ამის შემდეგ რეპორტაჟს სხვა მშენებლობაზე გამოვიყენებთ. იმ ქუჩაზე ხომ მრავალი სახლი შენდება!

— ...და ეს თქვენი აზრით სქემატური არ იქნება?

— ოო, არა, კოლეგავ. ჩვენ შეგვიძლია ეს მრავალჯერ გავიმეოროთ.

და ახლაც ასე მოხდა, რადგან რედაქტორები ყოველთვის მართლები არიან.

გერმანულიდან თარგმნა
ნაზი იმნაიშვილმა.

• ჩვენი ინტერვიუ •

ლიტერატურა და ხელოვნება

თარგმანი მეგობრობის გზაა

ახლახან ქ. მოსკოვში გაიმართა საერთაშორისო სიმპოზიუმი მხატვრული თარგმანის თეორიის აქტუალურ საკითხებზე. მასში მონაწილეობა მიიღო 200-ზე მეტმა გამოჩენილმა მწერალმა, მთარგმნელმა, თარგმნის თეორეტიკოსმა და მეცნიერმა. მათ შორის იყო 20-მდე უცხოელი სტუმარი. მთარგმნელთა საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ზლატკო გორიანი (იუგოსლავია), მთარგმნელთა ფედერაციის დამფუძნებელი და მისი პირველი პრეზიდენტი (ამჟამად ვიცე-პრეზიდენტი), ჟურნალ „ბაბილონის" მთავარი რედაქტორი პიერ-ფრანსუა კაიე (საფრანგეთი), ლეონე პაჩინი (იტალია), რალფ იტალიაანდერი (გფრ), ა. რააბი და ალფრედ კურელა (გდრ), ბოგუსლავ ილეკი და ირჟი ლევი (ჩეხოსლოვაკია), ლარს ჰამბერგი (ფინეთი), ო. ვოიტასევიჩი და ა. აზელინსკი (პოლონეთი), ამერიკელი მთარგმნელი კლარენს ბრაუნი, უნგრელი, ბულგარელი და რუმინელი სპეციალისტები.

ერთ-ერთი ძირითადი მოხსენება „რეალიზმის შესახებ თარგმნის ხელოვნებაში" გააკეთა პროფესორმა გივი გაჩეჩილაძემ. მოხსენებებით გამოვიდნენ აგრეთვე მთარგმნელი ნატ. ჩხეიძე („თარგმანის სიზუსტის კრიტერიუმის შესახებ"), თბილისის უნივერსიტეტის მეცნიერი თანამშრომელი ნ. საყვარელიძე („რიტმის პრობლემა მხატვრული ფრაზის თარგმანში") და სხვ.

სიმპოზიუმის დამთავრების შემდეგ ქართველი კოლეგების მოწვევით საქართველოში სამი დღით ჩამოვიდა პიერ-ფრანსუა კაიე. სტუმარმა ინახულა თბილისის და მისი მიდამოების ღირსშესანიშნაობანი, დაათვალიერა მცხეთის ჯვარი, სვეტიცხოველი და ზედაზენი. შეხვდა თბილისის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს, ცნობილ ქართველ მწერლებს. აგრეთვე სსრ კავშირის სახალხო არტისტს ს. ზაქარიაძეს (კაიეს ეკუთვნის „ჯარისკაცის მამის" ფრანგული ტექსტი), ესტუმრა საქართველოს სახალხო მხატვარს ლადო გუდიაშვილს.

საქართველოდან გამგზავრების წინ პიერ-ფრანსუა კაიეს შეხვდა გაზეთ „კომუნისტის" კორესპონდენტი ლ. კიქნაძე და სთხოვა ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის მოკლედ მოეთხრო მთარგმნელთა საერთაშორისო ფედერაციის საქმიანობაზე. აი რა გვიამბო მან:

◆

— თქვენ ალბათ უკვე მოგეხსენებათ, რომ მთარგმნელთა საერთაშორისო ფედერაცია დაარსდა საფრანგეთის მთარგმნელთა საზოგადოების ინიციატივით 1953 წელს პარიზში. ფედერაციის შემოკლებული სახელწოდებაა „ფიტ" (ფრანგულად „ფედერასიონ ენტერნასიონალ დე ტრადუკტერ"). მისი პირველი პრეზიდენტი გახლდით მე, ხოლო გენერალური მდივანი ედმონ კარი. ეს უკანასკნელი სიკვდილამდე (1966 წ. 24 იანვარი) ფედერაციაში შემავალი მხატვრული თარგმანის კომიტეტის თავმჯდომარე იყო და თავისი ავტორიტეტის წყალობით მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ფედერაციის საქმიანობაში.

ფედერაციის მეორე კონგრესი გაიმართა რომში (1956 წ.), სადაც პრეზიდენტად აირჩიეს იტალიელი, აწ განსვენებული ლანცა დი ტრაბია, მესამე — 1959 წელს ბად-გოდესბერგში (დასავლეთი გერმანია). აქ პრეზიდენტად აირჩიეს გერმანელი დოქტორი იულიუს ვიუნშე (ამჟამად ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტია). მეოთხე კონგრესი შედგა 1963 წელს ქ. დუბროვნიკში (იუგოსლავია), სადაც პრეზიდენტად აირჩიეს იუგოსლაველი დოქტორი ზლატკო გორიანი. მეხუთე კონგრესი გაიმართება მიმდინარე წლის 7-13 აგვისტოს ქალაქ ლაჰტიში (ფინეთი).

ფედერაცია აერთიანებს 22 ქვეყნის (მათ შორის 5 სოციალისტურია) მთარგმნელთა ორგანიზაციებს. იგი მიზნად ისახავს თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის განვითარებას და, რაც მთავარია, მთარგმნელთა უფლებების დაცვას. ფედერაციამ დუბროვნიკის კონგრესზე მიიღო „მთარგმნელის ქარტია", სადაც ჩამოყალიბებულია მთარგმნელის უფლება-მოვალეობანი. ის საკითხები, რის გადაწყვეტასაც ფედერაცია ცდილობს, საბჭოთა მთარგმნელებისათვის დიდი ხანია მოწესრიგებულია, რადგან საბჭოთა მთარგმნელები მწერალთა კავშირში შედიან, ამიტომაც საბჭოთა ორგანიზაციები ფედერაციის წევრები არ არიან.

1955 წლის მარტში ფედერაციამ დააარსა თავისი ოფიციალური ორგანო—ჟურნალი „ბაბილონი", რომელიც კვარტალში ერთხელ გამოდის და აშუქებს თარგმანის ისტორიის, თეორიის, მეთოდიკისა და ორგანიზაციის საკითხებს. მისი რედაქცია პარიზშია, გამომცემლობა კი დასავლეთ გერმანიაში. ჟურნალის სახელწოდება უკავშირდება ბიბლიურ თქმულებას ბაბილონის გოდლის შესახებ. ამ თქმულების მიხედვით ადამიანები იმდენად გაამაყდნენ, რომ დაიწყეს ბაბილონის გოდლის შენება, რათა ღმერთს მისწვდომოდნენ ზეცაში. ამაზე ღმერთი გაწყრა და ადამიანებს უეცრად სხვადასხვა ენაზე დააწყებინა ლაპარაკი ისე, რომ მათ ერთმანეთისა აღარა ესმოდათ რა.

ჩვენი აზრით, თარგმანი მოწოდებულია ერთმანეთთან დააკავშიროს სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანები, მთარგმნელმა თავისი შრომით უნდა „გამოისყიდოს" ბაბილონისდროინდელი „ცოდვა".

„ბაბილონის" ერთ-ერთი ყველაზე აქტიური თანამშრომელი იყო ედმონ კარი, რომელსაც ეკუთვნის მაღალკვალიფიციური სტატიები თარგმანის თეორიის საკითხებზე: „ეტიენ დოლე", „თარგმანი და პოეზია", „თარგმანის საბჭოთა თეორიები" და სხვ., აგრეთვე ვრცელი სტატია ქართველი პროფესორის გივი გაჩეჩილაძის შრომაზე „რეალისტური თარგმანის პრობლემა". ავტორი მაღალ შეფასებას აძლევს თარგმანის პრობლემის დიალექტიკურ გადაწყვეტას, რომელიც ქართველი ავტორის შრომაშია მოცემული. ედმონ კარიმ კარგად იცოდა რუსული და ევროპული ენები, პროგრესული მოაზროვნე იყო და დიდი ყურადღებით ეპყრობოდა საბჭოთა თარგმანის სკოლას. მის კალამს ეკუთვნის ცალკე წიგნებად გამოქვეყნებული შრომებიც „თარგმანი თანამედროვე მსოფლიოში", „დიდი ფრანგი მთარგმნელები", „პროლეგომენები თარგმანის საერთო თეორიისათვის" და სხვ.

1963 წელს დუბროვნიკის კონგრესს ესწრებოდა საბჭოთა ლიტერატორების ჯგუფი რუსი პოეტის პავლე ანტოკოლსკის მეთაურობით. ჯგუფის შემადგენლობაში იყო პროფესორი გ. გაჩეჩილაძეც. აქ დამყარებულ კონტაქტებს მოჰყვა უცხოელი კოლეგების დაინტერესება ქართული მთარგმნელობის საკითხებით. ამის შედეგი იყო ის, რომ ჟურნალმა „ბაბილონმა" ინგლისურ ენაზე გამოაქვეყნა პროფ. გ. გაჩეჩილაძის სტატიები „მხატვრული თარგმანი საქართველოში", „ივანე მაჩაბელი, შექსპირის დიდი ქართველი მთარგმნელი", ხოლო უკანასკნელ ნომერში (1965 წ. № 4) მოათავსა გ. გაჩეჩილაძის სიტყვა წარმოთქმული ფინეთში გამართულ მთარგმნელთა საერთაშორისო სემინარზე გასული წლის ივლისში. თავის გამოსვლაში ქართველმა მეცნიერმა და მთარგმნელმა უამბო უცხოელ კოლეგებს, თუ როგორ ასწავლიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მხატვრული თარგმანის ისტორიის, თეორიისა და პრაქტიკის საკითხებს და რა თეორიულ პრინციპებს ემყარება მთარგმნელთა მომზადება თქვენს ქვეყანაში.

ჟურნალი „ბაბილონი" ათავსებს ხუთ ევროპულ ენაზე (ინგლისურად, ფრანგულად, გერმანულად, იტალიურად და ესპანურად) დაწერილ სტატიებს. ამას წინათ ჟურნალის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, „ფიტ"-ის ვიცე-პრეზიდენტმა დოქტორმა ვიუნშემ გამოთქვა სურვილი გამოაქვეყნონ წერილები რუსულ ენაზეც, რათა ამით ხელი შეუწყონ ჟურნალის გავრცელებას საბჭოთა ქვეყანაში. მიმდინარე წლის პირველ ნომერში „ბაბილონში" მოთავსებული იქნება ცნობილი რუსი მთარგმნელის ევგენია კალაშნიკოვას სტატია „თარგმანი საბჭოთა კავშირში" (ინგლისურ ენაზე)...

და, ბოლოს, უნდა გითხრათ: დიდად ნასიამოვნები ვარ, რომ საქართველოს ვესტუმრე, უფრო ახლო გავიცანი მისი ხალხი, კულტურა, ისტორია. აქ გატარებული სამი დღე, რაც დიდად ნაყოფიერი იყო ჩემთვის, მუდამ საუკეთესო მოგონებად დამრჩება.

გიორგი სამხარაძე

ორნივ ერთია ჩემთვის

მე ყოველ წუთში ვხედავ,
წყარო მდინარეს ერთვის,
საქართველო და დედა —
ორნივ ერთია ჩემთვის.
როცა პატარა ვიყავ,
ორნივ ვიწამე ღმერთად:
წყალზე გამიდეს ხიდი,
გზა დამილოცეს ერთად.
სურნელოვანი ბაღის
ცვარის ემბაზში მბანა,
საქართველომ და დედამ
ერთად მიმღერეს ნანა.
მაღალმა მზემ და მთვარემ
სხივი თვალებში მტყორცნეს,
ძუძუ მაწოვეს ერთად,
ხელში ანბანი მომცეს.
რაც უნდა ავად ვიყო,
მიშველის ჯადო ხმები:
— ჩემო მამულო! ვიტყვი,
ვიტყვი და ფეხზე ვდგები.
მე ერთნაირად მიყვარს
მისი მზე, მისი გრილო.
ის არის ჩემი ლექსის,
ჩემი სიმღერის კილო.
მიყვარს თერგი და მტკვარი,
მოხმაურე და მალი,
ცას მიხატული ელვად
პატარა კახის ხმალი.
ჩემს კეთილ მამა-პაპებს
ჯაჭვის პერანგი ეცვათ,
ფიცით ეკვროდნენ ტაძრებს
და საქართველოს ზეცას.
არ უღალატეს კვრას
ნგრევის და წარღვნის დროში,
მერე ჩამოდგნენ წლები
ქარიშხლიანი დროშის...
ივერთა მთებზე გაქრა
ჯანღი თალხიან ფარდის,
თებერვლის მცივან თოვლზე
წითლად აღვივდა ვარდი.
იყო ბრძოლა და ძლევა,
ხმალს ვენდეთ მტერთა მომსპობს,
ჩვენი მქუხარე ვაშა
ესმოდა კრემლს და მოსკოვს.

გაზაფხულდა. სასიამოვნოა ამ დღეებში თავისუფალ დროს ქალაქგარეთ ბუნების წიაღში გასვლა და სუფთა ჰაერზე დასვენება. ეს გოგონები, რომლებსაც ამ ფოტოსურათზე ხედავთ, წელს თავიანთ მეოცე ბედნიერ გაზაფხულს ხვდებიან.

ფოტოეტიუდი ს. კილაძისა.

შეხვედრა 22 წლის შემდეგ

რუსთავში ცხოვრობს და ლიტერატურულ-პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა მწერალი კარპე მუმლაძე. მის წიგნებში „მეფოლადის სიყვარული", „ქართველი მეტალურგები", „გულის ძახილი", „ყრიმის მიწაზე", „ელაპარაკეთ ბუდაპეშტს" და სხვ. აღწერილია რუსთავის მეტალურგებისა და ქიმიკოსების სისხლსავსე ცხოვრება. ზოგი მათგანი დიდი სამამულო ომის თემასაც შეეხება.

შარშან, როცა ჩვენმა ქვეყანამ დიდი სამამულო ომის 20 წლისთავი იზეიმა, კარპე მუმლაძემ ჟურნალ „დროშაში" გამოაქვეყნა ნარკვევი „სიკვდილის მიჯნაზე". მასში მოთხრობილია, თუ როგორ გამოსტაცა სიკვდილს ამ ნარკვევის ავტორი კემეროველმა სერგეი ეგნატეს-ძე გლადიშევმა.

— ფრონტის სარდლობა იას-კიშინიოვის ოპერაციას ამზადებდა, — იგონებს კ. მუმლაძე, — საერთო ხელმძღვანელობისათვის გამოგზავნილი იყო მარშალი ს. ტიმოშენკო.

მტერი კონტრიერიშზე გადმოდიოდა, მაგრამ ჩვენ გადაწყვეტილი გვქონდა ერთი ნაბიჯით არ დაგვეხია უკან, როგორმე გაგვეძლო ჩვენი ჯარების ახალი შეტევის მომზადებამდე.

...მტრის არტილერიის ცეცხლს ბოლო არ უჩანდა.

დილით ბატალიონში პოლკის აგიტატორი, მაიორი პაპენკო მოვიდა. ერთად ვიმუშავეთ მომავალი ბრძოლისათვის, ბევრი რამ გავითვალისწინეთ, ასე ცხრა საათზე დაგვებოშეს. შუადღისას თითქოს ცოტა მიწყნარდა იქაურობა. უძილობისაგან ქანცგაწყვეტილი ვიყავით და თვალის მოტყუება გადავწყვიტეთ.

ჩემი თანამებრძოლი ვახილ რეგოტუნი გავაფრთხილე, თუ მანამდე არაფერი მოხდეს, ორმოცი წუთის შემდეგ გამაღვიძე-მეთქი.

მაგრამ ამასობაში მტრის ბომბდამშენები გამოჩენილიყვნენ. ბატალიონის საკომანდო პუნქტს ტონიანი ბომბები დააყარეს და მიიმალნენ.

აფეთქებათა კვამლი ჯერ კიდევ გაფანტული არ იყო, რომ კომორგი გლადიშევი სანგრიდან ამოვარდა, მოიხედა, ჩემი ბლინდაჟი ვეღარსად დაინახა და იყვირა, კომისრები დამარხულანო.

გლადიშევი საზრიანი ბიჭი იყო. უმალვე მოიშველია ამხანაგები. წამოავლეს ხელი ბარებს და დაიწყეს თხრა.

გლადიშევმა იცოდა, ვინ როგორ ვიწექით. ფიცრებამდე რომ დავიდნენ, ჯერ თურმე ჩემი თმა გამოჩნდა, მერე სახე. ახლა ხელებით დაიწყეს მიწის ჩიჩქნა და ძლივძლივობით ცოცხალმკვდარი ამომიღეს. სერგეი გლადიშევის მზრუნველობამ აშკარა დაღუპვას გადამარჩინა.

უფროსი ლეიტენანტი კ. მუმლაძე ბატალიონის უფროსის მოადგილე იყო პოლიტიკურ ნაწილში. იგი ყოველდღიურად ადგენდა დღიურებს, ინიშნავდა საინტერესო ეპიზოდებს.

დღიურის ერთ-ერთ ფურცელზე სხვისი ხელით არის ჩაწერილი კომისრის გადარჩენის ამბავი. მისი ავტორია, ბატალიონის კომორგი სერგეი გლადიშევი. იქვე საბედნიეროდ გლადიშევის მისამართიც არის აღნიშნული — კემეროვოს ოლქი, კემეროვოს რაიონი, სოფელი კრაპევინა.

— მართალი გითხრათ, არ მიმიქცევია ყურადღება ამ მისამართისათვის, — ამბობს კ. მუმლაძე, — თორემ ადრეც გავუგზავნიდი წერილს.

მისამართი ზუსტი აღმოჩნდა. პირველი წერილისთანავე ს. გლადიშევმა კ. მუმლაძეს აცნობა, რომ ცოცხალია, 15 წლის მანძილზე ერთ-ერთ მსხვილ კოლმეურნეობას ხელმძღვანელობდა, შემდეგ ჯანმრთელობის გაუარესების გამო განთავისუფლდა და ახლა ამავე კოლმეურნეობის ბრიგადირია.

წერილებს საპასუხო წერილები მოსდევდა.

ს. გლადიშევმა გადაწყვიტა ჩამოსულიყო საქართველოში. როცა ეს თავისი გადაწყვეტილება რაიონის ხელმძღვანელებს გააცნო, მათ თანხმობის ნიშნად კურორტ წყალტუბოს უფასო საგზური გამოუყვეს და საქართველოსაკენ დაულოცეს გზა.

და აი ამ დღეებში თბილისის სადგურში ერთმანეთს შეხვდნენ 22 წლის უნახავი მეგობრები. ამაღელვებელი იყო ეს შეხვედრა.

იმავე დღეს კ. მუმლაძის ოჯახში სუფრა გაიშალა. მეგობრები იგონებდნენ ომში ერთად გადახდილ ბრძოლებს, თავიანთ თანამებრძოლებს.

სამ დღეს დაჰყო ს. გლადიშევმა რუსთავში. მეგობრებმა ბევრი რამ გაიგეს ერთმანეთის ომისშემდგომ ცხოვრებასა და საქმიანობაზე.

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

• • •

სურათზე: კ. მუმლაძე (მარცხნივ) და ს. გლადიშევი.
ფოტო ა. მარუშანისა.

„სპარტაკის" დამარცხება

ტულუზა. მოსკოვის „სპარტაკის" ფეხბურთელთა გუნდმა მეორე მატჩი გამართა საფრანგეთში და კვლავ წააგო ამჯერად ქალაქ ტულუზის გუნდთან. შეხვედრის ანგარიშია 2:0 (0:0) მასპინძელთა სასარგებლოდ.

ფინიში თბილისში

ჩვენი ქვეყნის „ა" კლასის კალათბურთელ ვაჟთა კოლექტივები, რომლებსაც საკავშირო ჩემპიონატის უკანასკნელისწინა ეტაპი ტარტუსა და ლენინგრადში ჰქონდათ, დახლოებით ორი კვირის შესვენების შემდეგ დღეს კვლავ ჩაებმებიან ბრძოლაში.

თბილისის სპორტის სასახლეში პაექრობა ექნება ვაჟთა თორმეტსავე გუნდს. შეჯიბრება 25 მარტამდე გაგრძელდება.

ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპის წინ მეტოქეთა მდგომარეობა ასეთია: ლიდერობას კვლავ ცსკა-ს გუნდი ინარჩუნებს, რომელსაც 15 ქულა აქვს და ჩემპიონობის რეალური პრეტენდენტია. კაუნასის „ჟალგირისსა" და კიევის „სტროიტელს" ათ-ათი ქულა აქვთ, რიგის ვეფ-ს — 9 ქულა, ტარტუს „კალევს", რიგის სკა-სა და ლენინგრადის „სპარტაკს" — რვა-რვა ქულა, თბილისის „დინამოსა" და კიევის სკა-ს — შვიდ-შვიდი ქულა, სვერდლოვსკის „ურალმაშს" — 6 ქულა, ლენინგრადის სკა-სა და მოსკოვის „დინამოს" — ოთხ-ოთხი ქულა.

◆

წარმატებული ფინალში

ჟენევა. „ჟენევის საავტომობილო სალონის" თასზე ჰოკეისტთა ტურნირში გაიმარჯვა ჩეხოსლოვაკიის გუნდმა. ფინალურ მატჩში ჩეხოსლოვაკიელმა სპორტსმენებმა ანგარიშით 1:0 დაამარცხეს მოსკოვის „სპარტაკი". გოლი მესამე პერიოდის მე-11 წუთზე გაიტანა ხაველმა. სპარტაკელებმა მეორე ადგილი დაიკავეს.

◆

თასი — რიგელებს

პრაღა, 18 მარტი. (საკდესი). კალათბურთში ევროპის ჩემპიონთა თასი კვლავ რიგის ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტის ქალთა გუნდმა მოიპოვა.

გუშინ რიგელებმა პრაღაში ანგარიშით 78:66 (39:28) დაამარცხეს ჩეხოსლოვაკიის „სლოვან-ორბისი".

◆

ნაკრების შემადგენლობა

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები იუგოსლავიაში მიემგზავრება.

აი ჩვენი გუნდის შემადგენლობა: მეკარეები — იაშინი, კავაზაშვილი, ბანიკოვი; მცველები — პონომარიოვი, შესტერნიოვი, აფონინი, უსტარი, დანილოვი, გეტმანოვი; ნახევარმცველები — ვორონინი, საბო, გ. სიჭინავა, ჰუსაინოვი; თავდამსხმელები — მეტრეველი, ჩისლენკო, ივანოვი, ბანიშევსკი, კოპაევი, სერებრიანიკოვი, ხმელნიცკი, მესხი.

ორი ლიდერი

იუგოსლავიის ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე მსოფლიოს ჩემპიონმა ნ. გაფრინდაშვილმა ზედიზედ ორი პარტია მოიგო და ა. ნიკოლაუსთან ერთად სატურნირო ცხრილის სათავეში მოექცა. მეშვიდე ტურში ნონამ დაამარცხა ლ. ჟოჩიჩი, მერვეში — ტ. ბელამარიჩი (ორივე იუგოსლავია). ახლა ლიდერებს ნ. გაფრინდაშვილსა და ა. ნიკოლაუს 5,5-5,5 ქულა აქვთ.

◆

სამ-სამი ქულით...

გუშინ რესპუბლიკური საჭადრაკო ჩემპიონატის გადადებული პარტიების დამთავრებისას ბ. გურგენიძემ მოუგო მ. ჩაგუნავას, თ. გიორგაძემ — ა. ჩხაიძესა და გ. მუკნიშვილს, ვ. დავითაშვილმა — მ. ჩაგუნავას, ს. ჩეჩელიანმა — ა. რაზოვსკის, ა. ბუსლაევმა — თ. ლომაიას; ყაიმზე შეთანხმდნენ — ე. უბილავა — რ. ჯინჯიხაშვილი, ს. ჩეჩელიანი — ვ. კერნიჟიცკი, ვ. კერნიჟიცკი — ა. გვენცაძე, ა. ბოკუჩავა — ვ. დავითაშვილი, ი. ჩიქოვანი — ნ. ალექსანდრია.

სამი ტურის შემდეგ 3-3 ქულით ლიდერები არიან ბ. გურგენიძე და თ. გიორგაძე.

„კომუნისტის" სპორტი

სპორტული ქრონიკა

△ კაიროდან საბჭოთა ჩოგბურთელები ალექსანდრიას ეწვივნენ და აქ მონაწილეობენ საერთაშორისო ტურნირში. ს. ლიხაჩოვი მეოთხედფინალში გავიდა. ა. მეტრეველი კი გამოეთიშა მებრძოლთა რიგებს. წყვილთა ასპარეზობაში წარმატებით გამოდიან ა. მეტრეველი და ს. ლიხაჩოვი.

△ გუშინ მოსკოვის „დინამოს" ფეხბურთელთა კოლექტივი ტუნისში გაემგზავრა. აქ დინამოელები საერთაშორისო მატჩებს გამართავენ ამ ქვეყნის ნაკრებთან და საკლუბო გუნდებთან.

△ მარ-დელ-პლატის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე გათამაშდა ოთხი ტური. წინ არის ლ. პორტიში — 3,5 ქულა. ვ. სმისლოვს და ს. შვებერს სამ-სამი ქულა აქვთ, ლ. შტეინს — 2,5 ქულა.

△ ირკუტსკში გაიმართა ლოკომოტიველთა საკავშირო ჩემპიონატი ჩქაროსნულ ციგურაობაში. 500 მეტრზე რბოლაში გაიმარჯვა ა. ლეპიოშკინმა, რომელმაც საკავშირო რეკორდი დაამყარა — 40,8 წამი. მრავალჭიდში უძლიერესი იყო ვ. ბუდინი.

△ ვენეციის საჭადრაკო ტურნირზე გათამაშდა ოთხი ტური. ტურნირს ორი ლიდერი ჰყავს. ესენი არიან გ. გოლომბეკი და ბ. ივკოვი — 3,5-3,5 ქულა.

ტაშს უკრავენ ქართველ მსახიობს

რ. გორგიძე ნოვოსიბირსკის ოპერის სცენაზე

ნოვოსიბირსკის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრი განთქმულია თავისი მაღალი კლასის მომღერლებით და ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო საოპერო თეატრია. მაგრამ, როგორც იტყვიან, მზესაც კი აქვს ლაქები. მთელი რიგი წლების განმავლობაში ნოვოსიბირსკის სცენაზე არ იყო კარგი დრამატული ტენორი და ამის გამო ბევრი ცნობილი ოპერა იშვიათად იდგმებოდა, და ისიც მხოლოდ გასტროლიორებით და დებიუტანტებით.

ერთ-ერთი ასეთი დებიუტანტი გასულ სეზონში აღმოჩნდა თბილისის ოპერის სოლისტი რევაზ გორგიძე. მან იმღერა მანრიკოს პარტია „ტრუბადურში" და სპექტაკლის შემდეგ ოპერის მოყვარულნი, რომლებიც ნოვოსიბირსკში ცოტა როდია, ამბობდნენ, ნეტავ ასეთი ტენორი გვყავდესო. ახალ სეზონში მათ სიურპრიზი ელოდა: თურმე თეატრის ხელმძღვანელობას რ. გორგიძე ჩვენში მოუწვევია, მართალია, ჯერ მხოლოდ ერთი წლით.

და აი მზიური საქართველოდან თოვლიან-ყინულიან ციმბირში გადმოვიდა. მუდამ თავმდაბალმა და გულისხმიერმა ახალგაზრდამ მალე მოიპოვა ნოვოსიბირსკის თეატრის კოლექტივის სიმპათია, მაყურებელთათვის კი იგი ერთ-ერთი საყვარელი მსახიობი გახდა.

განვლილ დროში რევაზ გორგიძემ ჩვენთან უკვე შეასრულა ოთხი როლი: კანიოსი „ჯამბაზებში", ხოზესი „კარმენში", მანრიკოსი „ტრუბადურში" და სულ ცოტა ხნის წინათ რადამესისა „აიდაში". ყოველი მისი გამოსვლა თავისებური დღესასწაულია ოპერის მოყვარულთათვის. ან კი როგორ შეიძლება გულგრილი დარჩე? რევაზს ლამაზი ტემბრის ძალიან ძლიერი მკერდისეული ხმა აქვს; სცენაზე ყოველთვის მხატვრული ტაქტით უჭირავს თავი და როლებს ემოციურად, მგზნებარედ ასრულებს.

„აიდას" პრემიერას ნოვოსიბირსკელი მაყურებლები განსაკუთრებით აღტაცებით შეხვდნენ, ისე, როგორც ამ სეზონის არც ერთ სხვა სპექტაკლს არ შეხვედრიან. ამ საღამოს ბევრი იყო ტაში და „ბრავოს" შეძახილები. მსახიობები ფარდის უკან გასვლას ვერ ასწრებდნენ, რომ მაყურებლები მათ კვლავ და კვლავ იწვევდნენ. რ. გორგიძემ და მისმა პარტნიორებმა ზ. დიდენკომ (აიდა), რსფსრ დამსახურებულმა არტისტმა პ. ულიანოვმა (ამნერისი), ნ. დმიტრიენკომ (ამონასრო) — მართლაც ბრწყინვალე ანსამბლი შექმნეს.

მალე მოველით ჯ. ვერდის „ოტელოს" დადგმას, სადაც რ. გორგიძე მთავარ როლში გამოვა. უნდა ითქვას, რომ სწორედ „ოტელოს" დადგმის გამო წამოიჭრა თავდაპირველად რ. გორგიძის ჩვენს თეატრში მოწვევის საკითხი. თეატრის ყველა მუდმივი მაყურებელი მოუთმენლად ელის მოუსმინოს საყვარელ მსახიობს ახალ როლში, რომელიც ესოდენ შესანიშნავია და თანაც ყველა მსახიობისათვის როდია მისაწვდომი.

ა. შტანდელი.
დოცენტი.

ქ. ნოვოსიბირსკი.

• სხვა გაზეთებიდან •

იყალთოს სამარხები

იყალთოს (თელავის რაიონი) მახლობლად გზის მშენებლებმა აღმოაჩინეს საინტერესო სამარხები, რომლებიც ნათელს ჰფენენ ამ მხარის შორეულ წარსულს.

სამარხებში აღმოჩნდა ბრინჯაოს დილები, ძეწკვები, კერამიკის საუცხოო ნიმუშები — დოქები, ქილები და სხვა ჭურჭელი.

აღმოჩენილი ნივთები თელავის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს გადაეცა.

ნ. კუხიანიძე.

„სკოლა და ცხოვრება" № 3

გამოვიდა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ყოველთვიური სამეცნიერო-პედაგოგიური ჟურნალ „სკოლა და ცხოვრებას" — მორიგი, მესამე ნომერი.

ასეთი რამეც ხდება

ნაგაზი ზრდის ლომის ბოკვრებს

ამას წინათ ახალგაზრდა ძუ-ნაგაზ პალმას ლეკვები გაუჩნდა. იგი მზრუნველად უვლიდა შვილებს. შემდეგ ცუდი რაღაც მოხდა. ნაგაზი უეცრად მოაშორეს ლეკვებს და ჯაჭვით დააბეს. მთელ დღეს დაბმული ჰყავდათ და მხოლოდ საღამოს აუშვეს. პალმამ მაშინვე მიაშურა ავტოფურგონს, სადაც მისი ლეკვები იყვნენ, და მიუშვა მათ. ლეკვებს ახირებული რაღაც დამართოდათ" — თავდიდა და ულამაზონი გამხდარიყვნენ. მაგრამ ნაგაზი მაინც უალერსებდათ.

...წინადღეს მოძრავ ზოოცირკში, რომელიც ზამთარს ქალაქ ლვოვში ატარებს, ძუ-ლომ ლორას ბოკვრები დაუყრია. მაგრამ დედას პატარებისათვის ძუძუ არ დაუნებებია. და მაშინ ძუ-ლომი ნაგაზმა პალმამ შეცვალა.

ტყვეობაში მხეცების დაბადება პირველი შემთხვევა როდია მოძრავ ზოოცირკში. ერთხელ ზავ ძუ-მგელ ანას ხუთი ლეკვი გაუჩნდა. ისინი გაზარდნენ. ორი მათგანი ზოოცირკის მუშაკებმა მესაზღვრეებს აჩუქეს.

ვ. ევსიუკოვი.
(„სელსკაია ჟიზნ").

შემთხვევები

შფოთიანი ღამე

საბჭოთა მეურნეობა „მომსკის" მონადირეს ივანე ხაბაროვს შესაბამელი ირმები დაემალნენ. იგი მათ საძებრად წავიდა. მთელი დღე-ღამის გულმოდგინე ძებნას შედეგი არ მოჰყოლია. ცხოველების კვალი თოვლს დაეფარა. მონადირე დაიღალა, ყინვაც ძლიერი იყო.

როცა ტაიგას ბინდი ჩამოაწვა, ხაბაროვი ნაძვიგალევს, წაქცეულ ხეებს წააწყდა. უეცრად თოვლი ჩაუტყდა, და მონადირე რაღაც ორმოში აღმოჩნდა. აქ სითბო და „მყუდროება" იყო. ძალაგამოლეულ მონადირეს ძილი მოერია...

გამოაღვიძა გამაყრუებელმა სროლამ, რაც სულ ახლოს გაისმა. შემდეგ შემოესმა ადამიანების ხმა. ბუნაგში მეორე დათვიაო, ყვიროდნენ ისინი. მონადირემ ფეხზე მოისაზრა, რაშიაც იყო საქმე, და ხმამაღლა დაიძახა: „აქ მე ვარ, არ ისროლოთ!".

აღმოჩნდა, რომ ხაბაროვს ღამე გაეთია ბუნაგში, სადაც დათვს ეძინა. მონადირეებმა მხეცი წამოაგდეს და ბუნაგს ზღურბლზე მოკლეს.

მაგრამ დათვის „ბინა" ოროთახიანი ყოფილა. დაუპატიჟებელი სტუმარი მეორე, საიდუმლო ოთახში მოხვედრილა და ამიტომ არ დაურღვევია „მასპინძლის" მყუდროება.

დ. ბუზიაკინი.
(„იზვესტია").

იაკუტსკი.

გაზეთ „კომუნისტის" რედაქციას

ნება გვიბოძეთ გაზეთ „კომუნისტის" საშუალებით მადლობა გადავუხადოთ დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, მეგობრებს და ამხანაგებს, რომლებმაც გაიზიარეს ჩვენი მწუხარება აკადემიკოსის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ პეტრე პავლეს-ძე ქავთარაძის გარდაცვალების გამო.

პ. ქავთარაძის ოჯახი.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირში

21, 22 და 23 მარტს საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობა აწყობს საქალაქო და რაიონული გაზეთების პასუხისმგებელი მდივნების რესპუბლიკურ შემოქმედებითს სემინარს.

სემინარი დაიწყება 21 მარტს დილის 11 საათზე გაზეთ „კომუნისტის" რედაქციის სხდომათა დარბაზში (ლენინის ქუჩა № 14).

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობა.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

რადიო

19 მარტი

პირველი პროგრამით

09.15 — შ. მშველიძე. სიმფონიური სურათი „მზის ამოსვლა", და სიმფონიური ცეკვა „სამაია", 11.15 — მუსიკის საათი ბავშვებისათვის, 12.30 — „ყრილობის დელეგატი", 12.45 — ტ. ხრენიკოვის სიმღერები, 13.10 — ა. ბალანჩივაძე, რაფსოდია ფორტეპიანოსათვის, 13.40 — ისლანდიური სიმღერები, 14.00 — ხელოვნების ოსტატთა კონცერტი (მოსკოვი), 17.15 — ყარა ყარაევი. სიმფონიური გრავიურები „დონ-კიხოტი", 17.35 გადაცემა მოსწავლეთათვის, 18.10 — მუსიკა ქართული კინოფილმებიდან, 18.45 — სიმღერები ა. ვლადიმცოვის შესრულებით, 19.30 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „სტუდენტთა მუსიკალური გაზაფხული", 20.15 — „ძილისპირული", 20.30 — „მხიარულ ტალღაზე", 21.00 — კონცერტი — „შაბათ საღამოს", 22.00 — „რუსთაველის საუბილეოდ", 23.30 — საესტრადო მუსიკა.

თეატრები

19 მარტი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ტრავიატა (მე-5 და მე-14. აბონ. 1-ლი წარმოდგენა), მარჯანიშვილის სახელობის — ცხოვრების ჯარა, გრიბოედოვის სახელობის — ეზოში ავი ძაღლია, ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — რაც გინახავს, ვეღარ ნახავ.

ტელევიზია

19 მარტი

16.55 — გადაცემათა პროგრამა, 17.00 — პატარებისათვის „იყო და არა იყო რა"..., 17.20 — მოსწავლეთათვის — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 17.50 — „ჩვენ მივდივართ ცირკში", 18.50 — „ცნობილი სპორტსმენები" — ვლადიმერ უგრეხელიძე, 19.10 — კინონარკვევი, 19.30 — საესტრადო კონცერტი (გადაცემა თბილისიდან „ინტერვიზიისათვის"), 20.00 — კინონარკვევი, 20.10 — სატელევიზიო ნარკვევი „ფუნჯის დიდოსტატი" (ლადო გუდიაშვილის დაბადების 70 წლისთავის გამო), 20.35 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 20.55 — მხატვრული ფილმი, 22.25 — გადაცემათა პროგრამა 20 მარტისათვის, 22.30 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.00 — „ცისფერი ეკრანზე" (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეცხრე არხზე — 15.00-00.30 — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა.

20 მარტი

10.00 — ლექცია დაუსწრებელი სწავლების სტუდენტებისათვის, 11.40 — თბილისის მორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მხატვრული თვითმოქმედების კონცერტი, 12.30 — მხატვრული ფილმი „გოგონა და ექო", 16.55 — გადაცემათა პროგრამა, 17.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.30 — გადაცემა — „რეჟისორი ამო ბეკნაზაროვი", 18.00 — ამიერკავკასიის რესპუბლიკების დედაქალაქების სატელევიზიო ესტაფეტა — თბილისი, ერევანი, ბაქო.

მეცხრე არხზე — 11.00-00.20 — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი

თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9-93-08, 9-03-09, პ/მგ მდივნის — 9-72-80, ხამდივნოსი — 9-66-10, განყოფილებების: პარტიული — 9-87-61, პროპაგანდის — 8-22-98, მრეწველობის — 8-20-84, სოფლის მეურნეობის — 9-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 8-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 8-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 8-16-90, უცხოეთის — 8-15-68, წერილების — 9-78-24, ილუსტრაციის — 8-28-54, განცხადებების — 8-98-98.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები